საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 18 ივნისი, 2013 წელი.

№112 (7239)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეულებით და ჯოჯებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ამბოხი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ?!



2

სამალავებში ნანახია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელების, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი არაერთი ვიდეოფირი

მცდარი პოზიციაა, რომ უნივერსიტეტებში ახლა ყველაფერი ქირურგიული ჩარევით უნდა შეიცვალოს

3

თავისუფლება ყველაფრისგან გათავისუფლებას როდი ნიშნავს!

4

ქართული ცისის ზედამხედველი „განსაკუთრებულ თანამშრომლად“ მიიჩნიეს

8

პატრიარქის რჩევაზე ახალი მინისტრიც დუმს!

6

30 ათასი ადამიანი საქართველოს მოქალაქეობას უკანონოდ ფლობს

4

ზურაბ ჭვანიას ცოლისდა მის წინააღმდეგ მოწყობილ ინტრიგებზე საუბრობს

5

არჩილ ხომასურიძე: აბორტი პოლიტიკოსების სასაუბარი თემა არ არის, გავუფრთხილდეთ დედას!

7

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კულტურის რაინდი

ერისკაცი



წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი გულანთებული მამულიშვილი, დიდებული ხელოვანი, თეატრალური ხელოვნებისა და კინოს სახელოვანი რეჟისორი, ბატონი გიგა ლორთქიფანიძე, რომელმაც თავისი განუმეორებელი, საოცარი თეატრალური სპექტაკლებითა და კინოფილმებით მსოფლიო აღიარება მოიპოვა და ერის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა. მის ხელოვნებაში ეროვნულობა მკვეთრად არის წარმოჩენილი, მაგრამ შინაარსსა და ფორმაში მოძებნილი ჰარმონია მის ხელოვნებას მაღალმხატვრულ ღირებულებებს სძენს და ზოგადსაკაცობრიოს ხდის. ეს კი მაღალი კულტურის ხელოვანის ხვედრია.

თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში მისი ღვაწლი უზომოა. გარდა იმისა, რომ წლების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში თეატრებს ხელმძღვანელობდა, იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, მისი დამცველი და ჭირისუფალი. ბატონი გიგას საფიქრალი სამშობლოს — საქართველოს კეთილდღეობა იყო. სამშობლოს სიყვარული უძღოდა წინ ყველგან და ყველაფერში. როცა საქართველოს ყოველმხრიდან უტევდნენ გადამთიელი მტერი თუ შინაური, ბატონი გიგას მგზნებარე სიტყვა, მისეული ტემპერამენტით თქმული, წინ ხვდებოდა ავის მოსურნეთ და უნგრევდა ბოროტ ჩანაფიქრს. ეს იყო პარლამენტში, საჯარო გამოსვლებსა თუ ტელეეკრანიდან თქმული სიტყვები. იგი ყველგან იცავდა თავის უძვირფასეს სამშობლოს, რომელიც მას მოჭარბებულად უყვარდა, უყვარდა მისი ოქროსფერი შემოდგომა, მისი სიუხვე და ბარაქა. ბევრჯერ დაუცლია ღვინით სავსე თასი მის სადიდებლად და დასალოცად იმ ხალხისა, რომელსაც ეს ბარაქა მოჰყავდა, იმ ხალხისა, რომელიც დღეს გლოვობს და მიაცილებს დიდ ხელოვანს, ერის კაცს, კეთილშობილ ქართველ ვაჟკაცს, ბატონ გიგას, რომლის სახელი შეუერთდება იმ კორიფეთა სახელებს, რომლებითაც საქართველო ამაყობს.

ბატონი გიგას გარდაცვალების გამო მწუხარებასა და დიდ სინანულს გამოვთქვამ და ვუსამძიმრებ ქალბატონ ქეთევანს, რომელიც მთელი სიცოცხლე გვერდით ედგა როგორც მეუღლე და როგორც ხელოვანი, ვუსამძიმრებ შვილებს, რომლებმაც დაკარგეს შესანიშნავი მამა, ვუსამძიმრებ ქალბატონ მარიკას, რომელმაც დაკარგა უძვირფასესი ძმა, ღირსეული ადამიანი, ვუსამძიმრებ ოჯახის ახლობლებს, მეგობრებს, თეატრალურ სამყაროს და მთელ საქართველოს.

მერაბ ბერძენიშვილი

◎ ინფორმაცია

წულუკიანი სომხეთის პრემიერს შეხვდა

საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, სომხეთში ვიზიტის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრ ტიგრან სარქისიანს შეხვდა.

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა სომხეთის მთავრობის მეთაურს ქვეყანაში სამართლებრივ სფეროში გატარებული რეფორმები გააცნო. თეა წულუკიანის განცხადებით, მართლმსაჯულების რეფორმის ერთი ეტაპი დასრულებულია და ამჯერად იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა იგეგმება. მინისტრმა შრომის ახალ კოდექსზეც ისაუბრა.

სომხეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოსა და სომხეთს შორის თანამშრომლობა საჯარო პოლიტიკის არაერთ სფეროშია შესაძლებელი. მან მაგალითად მოიყვანა სასამართლოს რეფორმა, რომელსაც ამჟამად ორივე ქვეყანა ახორციელებს.

საუბარი ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლურ და პარტნიორულ ურთიერთობებსაც შეეხო. საქართველოს იუსტიციის მინისტრის განცხადებით, ახალ ხელისუფლებას სომხეთთან საუკეთესო ურთიერთობების დამყარების იმედი აქვს.

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● მე მეჩვენება თუ რა ხდება? პარლამენტი წყვეტს, ვინ დაინიშნოს ან განთავისუფლდეს მინისტრობიდან! მაშინ პრემიერი რას აკეთებს? პარლამენტს მიშიზმი შეეყარა თუ სულ ჰქონდა? ძალაუფლება უსუფაშვილს და რესპებს 0% რეიტინგით. ბ-ნო ბიძინა, გამოფხიზლდით! მიშამაც კარგად დაიწყო და მერე რაც მოხდა კი ვხედავთ.

● მაია ასათიანი: ხელისუფლების ბოლო (სულ რამდენიმე დღის) „მიღწევები“

1.პრივატიზებული სასამართლო — წულუკიანის პადაჩით,

2.ციხეში წამებით მოკლული პატიმარი — 24 წლის ლევან კორტია,

3.არაადეკვატური სასჯელი პატიმართა მწამებელ ჯალათებს,

4.კრიმინალური პოლიციის მე-4 სამმართველოს უფროსმა დ. გელაძემ ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა 18 წლის მოზარდი (შეეფარდა გირაო 15 000 ლ) როგორი ნუსხაა?

ახლა „უგზო-უკვლოდ შემწყნარებლები“ ტანსაცმელს შემოიხევენ: დაგავიწყდათ რეები ხდებოდა. ვაცალოთ ჯერ. რაღაც 9 თვეა, ნებივრობენ. ეს საბოტაჟია და სხვ. მჩატე არგუმენტებით.

ოღონდ, როგორც არ უნდა ვეცადოთ სიტუაციის შეფუთვა-შელამაზებას (და ვისი თავისუფლებაც არ უნდა შევწიროთ გადასაწონად...). ფაქტი (სულ რო დამჯერე იყოს და არა ჯიუტი) მაინც ფაქტად რჩება — განუკითხაობა გრძელდება!

მოკლედ ნუგზარ ჯუღელისა არ იყოს: „გინდა ახტი, გინდა დახტი — ტკაჩენკო მაინც ტკაჩენკოა..“

P.S. და მე 1 ოქტომბერს სახელების და გვარების ცვლილებას კი არა — რეჟიმის ცვლილებას მივეცი ხმა!

● ეს დედაარღნიანი მართლა ავადმყოფი ერი ვართ!

უგულავა 20-ლარიან ვაუჩერს 3 თვე აპიარებდა არა მარტო ნაცვიზიები, არამედ „მაესტრო“, „კავკასია“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“. 1000 ლარი პენსია დაენიშნათ ყოველთვიურად ომში დაღუპულების ოჯახებს და ერთი პატარა ნიუსის მეტი არაფერი არ დაწერილა. P.S. ობიექტურობავ, ქართული ჟურნალისტიკა უნდა გერქვას შენ!

● ბატონო ბიძინა, მე არ ვყოფილვარ არჩევნებზე, მაგრამ მომეცით საშუალება და მორალური უფლება, რომ პატივი ვცე ქართველი ხალხის უმრავლესობის არჩევანს. გთხოვთ, ნუ შესწირავთ ქართულ ოცნებას რესპ-ნაცებს, ისინი პირადად თქვენც შეგიწირავენ, რაც მე გულწრფელად არ მინდა!

● „ირანის ყოფილ პრეზიდენტს მაჰმუდ აჰმადინეჟადს, შესაძლოა, 74 წკეპლის დარტყმა მიუსაჯონ, რაც პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაციის დროს კანონის დარღვევას უკავშირდება“. მიშა სააკაშვილო, გეყურება?

● უხარისხო რექტორები, უხარისხო ოპოზიცია, უხარისხო პრეზიდენტი, უხარისხო სასამართლო, უხარისხო ტელევიზიები, უხარისხო ძეხვი, უხარისხო არაყი...

ეუჰ, ეს ბოლო ორი მაინც გამოსწორდეს ამ ქვეყანაში და დანარჩენი ჯანდაბას.

შეკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ბნელეთის მოციქულნი

ამბოხი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ?!

რა აღმოაჩინეს მიწისქვეშა სამალავებში?

მთელ საქართველოს ეშინოდა ოქტომბრის არჩევნების შემდგომი პერიოდისა. „ნაციონალები“ რომ ადვილად არ დათმობდნენ თავიანთ პოზიციებს, ეს წინასაარჩევნო პერიოდშიც კარგად ჩანდა და, მით უფრო მას მერეც, „მეოცნებეთა“ მომხრეების დაშინებები, მათი ოჯახის წევრების შანტაჟი, ფიზიკურად გასწორების ფაქტები ხომ მრავლად იყო. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებდით, დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, იქმნებოდა „ნაცთა“ დაჯგუფებები, რომლებიც არჩევნების პერიოდში მოაწყოდნენ პროვოკაციებს, თუ წაგების „სუნს იცემდნენ“, და უარესი ვარიანტი იყო — „ნაცების“ გამარჯვების შემთხვევაში მოწინააღმდეგეთა ფიზიკური გასწორება (არ გამოვრიცხავთ ადამიანთა ლიკვიდაციის ჩათვლით).

სწორედ ამიტომ, საზღვრისპირა რაიონებში შექმნილი მძიმე პირობების საბაბით, იქმნებოდა შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც მიშამ „პატრიოტებად“ და „რეზერვისტებად“ მონათლა. აფინანსებდა მათ და კბილებამდე აიარაღებდა, ინსტრუქტორები მათ უტარებდნენ ვითომდა „თავდაცვის სწავლებებს“, სინამდვილეში კი „კბილებამდე შეიარაღებული რეზერვისტები“, რომელთა ასაკი 17-დან 70 წლამდეც კი იყო, სწორედ ანგარიშსწორების ბანდფორმირებებად ყალიბდებოდა.

არჩევნების შემდეგ ბევრმა თავად ჩააბარა იარაღი, დანარჩენი კი „ნაცმაღალჩინოსნებმა“ საიდუმლოდ გადამალეს, რა იცი, როდის დასჭირდებოდათ — ჯერ ხომ წინ პრეზიდენტის არჩევნები ედოთ. და მოარული ხმები, რომელიც, „სამწუხაროდ“ (ჩვენი ქვეყნის იმიჯისათვის), და, საბედნიეროდ, ჩენი ხალხისთვის სიმართლედ იქცა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამეგრელოში სამალავებში ფეთქებად ნივთიერებებთან ერთად წამებისა და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი ვიდეოფირები, ნარკოტიკები და წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების მონაცემების შემცველი არქივი აღმოაჩინა.

ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა **ნინო გიორგობიანმა** ბრიფინგი გამართა.

— შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, აღმოჩენილია ყოფილი ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით მიწისქვეშ შენიღბულად მოწყობილი, სპეციალური კამუფლაჟით დაფარული სამალავები, რომლებშიც ნაპოვნია ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების, მათ შორის, დივერსიული საქმიანობის წარმოებისათვის გათვალისწინებული დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილობები, ხელყუმბარები, ავტომატური და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი, კავშირგაბმულობის საშუალებები, სამხედრო ამუნიცია, აგრეთვე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერებები, კერძოდ, „ჰეროინი“, „კოკაინი“, „ოპიუმი“, „სუბუტექსი“ და ა.შ.

ჩხრეკისას ამოღებულია წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი იმ პირების ფოტოსურათებისა და პირადი მონაცემების შემცველი არქივი, რომელთა დაპატიმრებაც იგეგმებოდა, სხვადასხვა გაყალბებული და ფალსიფიცირებული ბრალდებებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ გამარჯვების შემთხვევაში. ნიშანდობლივია, რომ ცალკეული დოკუმენტები შედგენილია ხელით, რაც ქმნის მნიშვნელოვან მტკიცებულებით ბაზას დამნაშავე პირების სწრაფად იდენტიფიკაციისა და დაკავებისათვის.

გარდა ამისა, სამალავებში ნანახია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მიერ ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელების, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი არაერთი ვიდეოფირი, რომელთა შესწავლისათვის ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, — განაცხადა გიორგობიანმა.

პრემიერ-მინისტრის მრჩეველი **გია ხუხაშვილი** არ გამორიცხავს, რომ ისეთი ტიპის იარაღის სამალავები, როგორიც სამეგრელოში აღმოაჩინეს, საქართველოს ცალკეულ რაიონებშიც არსებობდეს.

როგორც ხუხაშვილმა აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, იარაღის სამალავების აღმოჩენა ადასტურებს, რომ ყოფილი ხელისუფლება კანონის ფარგლებში არ მოქმედებდა და საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ნებისმიერი ტიპის ქმედებისთვის იყო მზად.

ნინო გიორგობიანის ბრიფინგს გამოეხმაურა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი **კახი კალაძეც.**

როგორც კალაძემ აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას განაცხადა, წინასაარჩევნოდ, თითქმის ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობდა „ქართული ოცნების“ წევრებისა და მათი მხარდამჭერების თვალთვალი, შანტაჟი და დაშინება.

„ნაციონალური მოძრაობა“ ყველა ღონეს იყენებდა იმისთვის, რომ ხალხი შეეშინებინა. საბედნიეროდ, ყველაფერი დასრულდა ქართველი ხალხის გამარჯვებით და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, არასდროს განმეორდება ის მოპყრობა, როგორც ჩვენს ხალხს „ნაციონალური მოძრაობა“ ეპყრობოდა. ოჯახი არ იყო დარჩენილი, რომელსაც სააკაშვილის კრიმინალური რეჟიმი არ შეხებოდა. მინდა მივმართო საზოგადოებას და ვუთხრა, რომ ეს აღარასდროს განმეორდება, — განაცხადა კახა კალაძემ.

საინტერესოა, როგორ გამოეხმაურება ამ ფაქტს დემოკრატიის შუქურა დასავლეთი (რატომღაც ეს შუქურა ამ ბოლო დროს ვერ ანათებს, როგორც საჭიროა)? კანონიერად დაკავებულ (იმედი გვაქვს, რომ შსს სულ მალე გაამჟღავნებს და დააკავებს „მეამბოხე ნაცებს“) „ნაცელიტას“ ისევ პოლიტპატიმრებად მონათლავენ?

მამუკა ვაშაკიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

მცდარი პოზიციაა, რომ უნივერსიტეტებში ახლა ყველაფერი ქირურგიული ჩარევით უნდა შეიცვალოს

უმაღლესი განათლების პრობლემებსა და საშინაო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ **მარინა ჩიტაშვილს** ესაუბრა.

— ქალბატონო მარინა, კანონში „განათლების შესახებ“ ცვლილებების შეტანას დიდი ხმაური მოჰყვა უნივერსიტეტებში. თქვენი აზრით, რატომ ჰქონდათ უნივერსიტეტების მესვეურებს მკვეთრად უარყოფითი რეაქცია კანონში ცვლილებების შეტანაზე და საერთოდ, რა ხდება ჩვენს უნივერსიტეტებში?

— განათლება წარმოადგენს საზოგადოებრივ სიკეთეს და იმ სფეროს, რომელშიც ადამიანები კოლექტიურად ქმნიან გარკვეულ პროდუქტს. ყოველ შემთხვევაში, ეს პროდუქტი არის ის, რომ ადამიანთა ჯგუფი ემსახურება თავისი მომავალი თაობისათვის იმ ცოდნის გადაცემას, რომელიც მას აქვთ. განათლების იდეა სწორედ ეს გახლავთ.

შესაბამისად, როდესაც განათლების სამინისტროს ან ვინმე სხვას უნდა, რომ განათლების რეფორმაზე დაიწყოს ლაპარაკი, ასეთ შემთხვევაში, რადგან ეს იმთავითვე არის კოლექტიურად შექმნილი საზოგადიებრივი სიკეთე, უნდა აირჩიოს არა ერთი გუნდი, ან გურუ, ყოვლისმცოდნე, რომელიც რაღაცას მოიფიქრებს და დაწერს, არამედ ხაზგასმით ვამბობ — შეადგინოს ჯგუფი კვალიფიციური ადამიანებისა, რომლებსაც უმუშავიათ თანამედროვე განათლების მართვის სისტემაში და კარგად იციან სფეროს პრობლემები. სწორედ ასეთი კვალიფიციური ადამიანების ჯგუფმა უნდა შეიმუშაოს რაღაც ახალი ტიპის ჯერ კონცეფცია და შემდეგ ამ კონცეფციაზე დაყრდნობით კანონი.

სამწუხაროდ, ჩვენს სიტუაციაში მოხდა ის, რომ პროფესორ დვალისთვის დელეგირებულმა უფლებებმა, რომ მას უნდა დაეწერა უმაღლესი განათლების კონცეფცია, ვერ იმუშავა, რადგან არ შეიქმნა სახელმწიფო კომისია, არ იყო გაწერილი პასუხისმგებლობები და დვალმა და მისმა კოლეგებმა წარმოადგინეს კონცეფცია, რომელსაც არ მოჰყოლია ერთი საჯარო განხილვა. მიუხედავად იმისა, ამტკიცებდნენ, რომ ეს იყო საჯარო განხილვა, საბოლოო ჯამში ეს დასრულდა იმით, რომ მას უთხრეს — თქვენ თქვენი საქმე შეასრულეთ, რისთვისაც დიდი მადლობა და ახლა სამინისტრო დაიწყებს საქმეების კეთებასო. აღმოჩნდა, რომ სამინისტრო თავის მხრივ ამ თემაზე ცალკე მუშაობდა და მას აქვს თავისი სპეციფიკური წარმოდგენები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს განათლების სისტემა.

არც ერთ და არც მეორე შემთხვევაში, როგორც პროფესორ დვალის, ისე სამინისტროს შემთხვევაში, არ ყოფილა არსებული სიტუაციის რეალური შეფასება. ნებისმიერი განვითარების სტრატეგიული გეგმა იდება იმის კვალობაზე, როდესაც თქვენ გაქვთ გაკეთებული გარკვეული შეფასება არსებული მდგომარეობის. ერთიც და მეორეც წარმოადგენს მხოლოდ ფრაგმენტირებულ ნაწილს განათლების პოლიტიკისას, რომელსაც სერიოზული ხარვეზები გააჩნია. უნივერსიტეტები ერთხელ და სამუდამოდ, როგორც ეს სხვა დემოკრატიულ ქვეყნებშია, უნდა გახდნენ სამოქალაქო ინსტიტუტები, რომლებიც აგებული არიან პროფესორებისა და სტუდენტების გაერთიანებით და ემსახურებიან ცოდნის შენახვას, გავრცელებას და ახალი ცოდნის გენერირებას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს ავტონომიური. 2004 წლიდან დღემდე განხორციელებულმა რეფორმებმა ცხადად აჩვენეს, რომ უნივერსიტეტის პოლიტიზება იწვევს უარყოფით შედეგებს ბევრი მიმართულებით. ცენტრალური მიმართულება გახლავთ ფინანსების არასწორად გამოყენება და არმოხმარება იმისათვის, რაც არის უნივერსიტეტის იდეა.

შესაბამისად, აქ ცენტრალური საკითხი გახლავთ ასეთი — უნივერსიტეტის საქმეებში ჩარევა პოლიტიკური ნიშნით, ანუ, „მოვა ერთი კარგი მმართველი და ის ყველაფერს მოაგვარებს“, მცდარი პოზიციაა. ასეთ რამეს არასოდეს უმუშავია და ამის კარგი მაგალითია ის, თუ რას დაემსგავსნენ ჩვენი უნივერსიტეტები 2004 წლიდან დღემდე. მცდარი პოზიცია გახლავთ ის, რომ უნივერსიტეტებში ახლა ყველაფერი ქირურგიული ჩარევით უნდა შეიცვალოს. პირობას გაძლევთ, დანიშნული ადამიანი, რომელმაც 6 თვეში უნდა ჩაატაროს არჩევნები, ყველაფერს გააკეთებს, რათა პოლიტიკური ნიშნით შეარჩიოს უნივერსისტეტის ახალი მენეჯმენტი, რაც ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტებში ძველი პოლიტიკური ელიტა ახლით შეიცვლება. ამას არაფერი აქვს საერთო უნივერსიტეტების ფუნქციონირებასთან, რომლებიც უნდა ემსახურებოდნენ ცოდნის შენახვას, გავრცელებას და ახალი ცოდნის შექმნას.

არავინ დავობს, რომ უნივერსიტეტებში შესაცვლელია ძალიან ბევრი რამ. ჩემი აზრით, სამინისტროს მხრიდან ამის დასასაბუთებლად მისთვის კარგი იქნებოდა ვითარების რეალურად შესწავლის თვალსაზრისით, ჩაეტარებინა ფინანსური აუდიტი და ენახა, სად, როგორ და რაში იხარჯება ფული. გამოეტანა ეს საჯაროდ და ეთქვა, რომ ჩვენი გადასახადების გადამხდელთა და სტუდენტების მშობლების ფული იხარჯება არა იმ მიზნებზე, რისთვისაც უნივერსიტეტი უნდა ფუნქციონირებდეს.

ასეთ ვითარებაში ჩვენ გვექნებოდა სიტუაციის რეალური სურათი. სრული პასუხიმგებლობით ვაცხადებ — ბოლო 13 წლის განმავლობაში სხვა არაფერი მიკეთებია, თუ არა უმაღლესი განათლების ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის სისტემების შესწავლა. უნივერსალური მოდელი არ არსებობს, დასავლური მოდერნული მოდელი, რომელსაც თავს გვახვევენ და ნოვაციად გვასაღებენ, ასეთი რამ არ არის. ყველაზე მეტად გასაოცარი კი ის გახლავთ, რომ იმის ნაცვლად უნივერსიტეტებისთვის შექმნილიყო ჩარჩო და მათ თავისუფლად ეფუნქციონირათ, იქმნება ჩარჩო, სადაც ხელფასებიც კი სამინისტროს მიერ განისაზღვრება. ეს სამინისტროს საქმე არ გახლავთ და ეს სხვათა შორის, არც ერთ განათლების კანონში არ წერია.

— ქალბატონო მარინა, დიდი ინტერესითა და ყურადღებით გავეცანი თქვენს სტატიებს — „ვარიაციები უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის შესახებ“ და „ავტონომია და უმაღლესი განათლების რეფორმა საქართველოში — დვალის, კოკაიას, ბერეჟიანისა და ლორთქიფანიძის მიერ შემუშავებული კონცეფციის საპასუხოდ“. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ განათლების სისტემაში საქმე გვაქვს სისტემურ პრობლემებთან. პრობლემა ისიც ხომ არაა, რომ არც საზოგადოებას, არც პროფესურას და არც სტუდენტებს საჯაროდ არ უმსჯელიათ, თუ როგორი უმაღლესი განათლების სისტემა უნდა როგორც საზოგადოებას, ისე პროფესურას და სტუდენტობას? ანუ, დღეს არსებული პრობლემები საზოგადოებაში ამ თემაზე კონსენსუსის არარსებობასაც ხომ არ უკავშირდება?

— აბსოლუტურად სწორად დასვით კითხვა. დიახ, ჩვენ საქმე გვაქვს განათლების სისტემურ პრობლემასთან. ანუ, განათლების სისტემას სისტემური პრობლემა აქვს. შესაბამისად, კანონში სპონტანურად ცვლილების შეტანა, რაიმეს შებათქაშება და შელამაზება, ვერ უშველის.

2013 წლის მსოფლიო კონკურენციის ინდექსში ჩვენი განათლების სისტემის რამდენიმე მაგალითს მოვიყვან. ჩვენი განათლების სისტემის შეფასება მერყეობს 114-ე ადგილიდან 139-ე ადგილამდე 144 ქვეყანას შორის. ერთადერთი, რითიც ვართ პირველ ათეულში მე-6 თუ მე-7 ადგილზე, არის ის, რომ საშუალო სკოლისადმი ხელმისაწვდომობა და ჩართულობა რამდენად მაღალია.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში დადის ყველა, მაგრამ ჩვენი უმაღლესი და საშუალო განათლების სისტემის პრობლემა ისაა, რომ ხდება უვიცების რეპროდუქცია. ანუ, ჩვენ დაგვყავს სკოლაში ხალხი, მაგრამ სკოლაში მიცემული განათლების ხარისხის მიხედვით ჩვენ ვმერყეობთ 114-დან 139-ე ადგილამდე. 139-ე ადგილზე იმ თვალსაზრისით ვართ გასულები, რაც უნივერსიტეტის და ბიზნესის, როგორც ინდუსტრიის წარმოებას, ეხება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი უნივერსიტეტები ვერ ახდენენ ახალი ცოდნის შექმნას, რაც პირდაპირ ურტყამს განვითარების ინდექსს. ანუ, ფაქტობრივად ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში კატასტროფული მდგომარეობაა. ამ კატასტროფას, ახალი ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული რეფორმით ვერანაირად ვერ ვუშველით.

თქვენ აბსოლუტურად სწორად ბრძანეთ, განათლების სისტემაში უნდა იყოს ჩართული ყველა დაინტერესებული ჯგუფი, პროფესურა, სტუდენტები და მათი მშობლები. გასაგებია, რომ სკოლაში ყველა დადის, მაგრამ სტუდენტი ხომ ყველა არ ხდება.

— ვითარებაში, როცა უნივერსიტეტების რექტორები, სამეცნიერო საბჭოები და მათთან დაკავშირებული პროფესურა ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს ახალი ხელისუფლების ინიციატივებს და თავისი პოზიციები შეინარჩუნონ უმაღლეს სასწავლებლებში, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული პრობლემებით დაინტერესებულმა ყველა ჯგუფმა მშვიდ ვითარებაში, ხელისუფლებასთან ერთად დაიწყოს კატასტროფული მდგომარეობიდან ოპტიმალური გამოსავლის გზების ძიება?

— ეს თავისუფლად შესაძლებელია. ასეთ შემთხვევაში პირველი მოსმენით მოღებული კანონპროექტი უნდა შეჩერდეს, უნდა დაიწყოს მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორი ვითარება გვაქვს უმაღლესი განათლების სისტემაში და თუ რა ტიპის განათლების ახალი კონცეფცია გვჭირდება და, შესაბამისად, როგორი კანონი გვინდა, რომ გვქონდეს.

უნივერსიტეტები მთელ მსოფლიოში ყველაზე უძველესი ორგანიზაციებია, მათი ისტორია 900 წელს უახლოვდება. არც ერთ ორგანიზაციას ასეთი ხანგრძლივი ისტორია არ აქვს. როგორი კანონიც არ უნდა დაიწეროს, უნივერსიტეტები ყველაფერს მოერგება, ამას უნივერსიტეტების არსებობის გამოცდილება ადასტურებს. გასარკვევი ისაა, ჩვენ რა გვინდა გვქონდეს საქართველოში, ფორმალური უნივერსიტეტები, თუ გვინდა, ქვეყანაში რეალურად გვქონდეს უმაღლესი განათლება.

შესაბამისად, თუ ერთი წლის შემდეგ იქნება გათვლილი, სტრატეგიული და გეგმიანი, რისკფაქტორებიანად დათვლილი და შეფასების სისტემით უზრუნველყოფილი კონცეფცია, თუ როგორ უნდა განვითარდეს შემდგომი 10 წლის განმავლობაში უმაღლესი განათლების სისტემა, და ეს იქნება შეთანხმებული და გაანალიზებული მთლიანად საზოგადოების მიერ, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გვექნება ნორმალური, სამომავლო განვითარებაზე ორიენტირებული უმაღლესი განათლების სისტემის სტრატეგია.

— ეს გასაგებია, მაგრამ რამდენად არის ამისათვის მზად დღეს საზოგადოება, პროფესურა, სტუდენტობა და ხელისუფლება?

— ვთვლი, რომ ყველა მხარე ამისათვის მზადაა. მიმაჩნია, რომ უნივერსიტეტებში არსებოს სიტუაცია, როცა ვერც ერთი უნივერსიტეტი ვერ იქნება წინააღმდეგი, რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდეს. მასში მიღებული განათლება იყოს ცხად კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეფასებული.

— იმის გათვალისწინებით, რომ თქვენ ამ საკითხებზე დიდი ხანია მუშაობთ, ბევრი თქვენი კოლეგა ავტორიტეტადაც მიგიჩნევთ და სამართლიანადაც, თქვენ როგორ გესახებათ ამ რთულ პროცესში მონაწილეობა?

— ჩემი მონაწილეობა დამოკიდებულია იმაზე, იმ ადამიანებს, ვინც პოლიტიკას განსაზღვრავენ, რამდენად ვჭირდები მე. რამდენადაც ვხვდები, მე მათ აბსოლუტურად არ ვჭირდები. უნივერსიტეტში მოხსენება გააკეთა განათლების მინისტრის მრჩეველმა. ამ შეხვედრაზე მან ჩემგან პირდაპირ მიიღო პასუხები იმაზე, თუ რა იყო არასწორი და რა არ იყო გათვლილი მათ კონცეფციაში. ამის შემდეგ მათ თავისივე კონცეფციაში ბევრი არაფერი შეუცვლიათ.

ერთადერთი, რის გარანტიასაც მე ყველას ვაძლევ, ვინც პოლიტიკაშია ჩართული, პროფესურისა თუ სტუდენტობის წარმომადგენელია, ეს არის ის, რომ უნივერსიტეტის იდეას და განათლების მართვაში დაგროვილ ცოდნას მე გამოვიყენებ, რათა ყოველთვის მოვახდინო შეფასება, რა არის სწორი და რა არ არის სწორი. ასე მაგალითად, მე ხელი არ მოვაწერე უნივერსიტეტში დაწერილ წერილს, რომელიც უნივერსიტეტისთვის ავტონომიასა და დამოუკიდებლობას ითხოვდა. რა თქმა უნდა, მე უნივერსიტეტის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ ჩემმა კოლეგებმა იციან, რომ მხოლოდ იმის გამო არ მოვაწერე ამ წერილს ხელი, რომ ვთვლი, ასისტენტ-პროფესორი უნდა იყოს აკადემიური ხარისხის მფლობელი. ეს არ ნიშნავს იმას, დანარჩენ პუნქტებს, რაც იქ წერია, არ ვეთანხმები. მაგრამ, ვინაიდან საკითხი ასე იდგა, რომ რადგან თუ ხელს აწერ, ყველაფერს ეთანხმები ან არაფერს, მე მას მხოლოდ ამიტომ არ მოვაწერე.

ჩემი პოზიცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის ახალგაზრდები, რომლებიც ჯერ არ არიან დოქტორები, უნივერსიტეტიდან უნდა წავიდნენ, პირიქით, უნივერსიტეტებმა მათ უნდა შეუქმნან ყველანაირი წინაპირობა, რომ მათ დროზე დაასრულონ კვლევა და დროზე გახდნენ დოქტორები და უნივერსიტეტში დროზე აიღონ აკადემიური ხელისუფლება.

ჩვენი პრობლემა ისაა, რომ მთელი ჩვენი განათლების სისტემა მიმართული და ორიენტირებულია წარსულზე და არა იმაზე, რომ კვალიფიციური მომავალი შეიქმნას. წინა ხელისუფლების პირობებში უნივერსიტეტებში იქმნებოდა იდეოლოგიურად პოლიტიზირებული მომავალი და არა კვალიფიციურობაზე ორიენტირებული მომავალი. ჩვენი პრობლემა დღეს ესაა. ჩვენ თუ ასე გავაგრძელეთ 15-20, მაქსიმუმ 25 წელიწადში, ის, რასაც მსოფლიო დონის უმაღლესი განათლება ჰქვია, საერთოდ არ გვექნება.

კობა ბენდელიანი

◎ ალიან-ჩალიანი

შემოვლითი რკინიგზის პროექტზე გერმანული კომპანია იმუშავებს

შპს „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორის მამუკა ბახტაძის განცხადებით, თბილისის შემოვლითი რკინიგზის არსებული პროექტი ნაკლებად მიმზიდველია. როგორც აღნიშნული საკითხის კომენტირებისას ბახტაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, საქართველოს რკინიგზამ კონსულტანტად გერმანული კომპანია აიყვანა, რომელთან ერთადაც პროექტის შემდგომ გაკეთილშობილებაზე მუშაობს.

— ჩვენ კონსულტანტად ავიყვანეთ გერმანული კომპანია, რომელთან ერთადაც პროექტზე ვმუშაობთ. პროექტი იმ საინჟინრო გადაწყვეტილებებით, რომელიც დღეს არსებობს, „საქართველოს რკინიგზინისთვის“ ნაკლებად მიმზიდველი და საინტერესოა, ჩვენ ვმუშაობთ მის შემდგომ გაკეთილშობილებაზე, — აღნიშნა ბახტაძემ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თავისუფლება ყველაფრისგან გათავისუფლებას როდი ნიშნავს!

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

გლობალიზაციის ყოვლისმომცველ პროცესებს, დადებითთან ერთად, მოგეხსენებათ, უარყოფითი მხარეებიც აქვს. აქედან გამომდინარე, ზნეობრივი კრიზისის თემა თანამედროვე საერთაშორისო მოაზროვნე საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ საფიქრალს წარმოადგენს.

საქართველოში არსებულ მძიმე სულიერ ღირებულებათა კრიზისული მდგომარეობა, არავის გვიტოვებს მორალურ უფლებას, ვიყოთ გულგრილი მიმდინარე მოვლენებისადმი და არ ვეძიებდეთ მისგან გამოსავალ გზებს.

ვიდრე თქვენს წინაშე, საკანონმდებლო ინიციატივას წარმოვადგენდეთ, გვინდა თქვენი ყურადღება გავამახვილოთ მნიშვნელოვან საკითხებზე.

17 მაისს ქართველი ხალხის მასობრივმა საპროტესტო გამოსვლამ გეი აღლუმის ჩატარების, როგორც უზნეობის პროპაგანდის წინააღმდეგ, არაერთი ქართველის და მათი უცხოელი მხარდამჭერებისაგან შეურაცხმყოფელი შეფასებები მიიღო. შეურაცხყოფა მიაყენეს ქართულ ეკლესიას, ქართველებს პროვინციელები უწოდეს, რომ ჩვენთვის უცხოა დემოკრატიული ღირებულებები. პარიზში, მსოფლიო კულტურის და ევროპული დემოკრატიული ღირებულებების ცენტრში გამართულმა მასობრივმა საპროტესტო აქციებმა, სადაც 200 000-ზე მეტმა ადამიანმა, ეროვნული ღირსებისათვის, ბავშვთა უფლებების დასაცავად, გეების აღვირახსნილობის აღსაკვეთად დაარბიეს პოლიცია, გადაწვეს ქალაქის ნაწილი, მათთვის არავის გაუბედია, რომ ისინი ევროპულ ღირებულებებს უარყოფენ, რომ რუსეთისკენ უჭირავთ თვალი.

გეების აღვირახსნილობისა და უზნეობის პროპაგანდის აღსაკვეთად პროტესტის ნიშნად ცნობილი ფრანგი მწერლის დომინიკ ვენერის თვითმკლელობის ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ ღირსება, სინდისი, დიდსულოვნება, პასუხისმგებლობისა და სირცხვილის გრძნობა. ღმერთის, ერის, ოჯახისა და საზოგადოების წინაშე ის მარადიული ღირებულებებია რაც ყველა ადამიანს — ქართველებს, ფრანგებს, რუსებს, ამერიკელებს ერთნაირად ახასიათებს განურჩევლად ეროვნებისა, წარმომავლობისა, დროისა, რაც თვით ღვთისგან, ადამიანში დაბადებიდან ბუნების კანონზომიერებით არის განპირობებული და მისი ხელყოფა დაუშვებელია.

განსაკუთრებით ფრანგი ხალხის შემართებამ საერთაშორისო საზოგადოება საბოლოოდ გამოაფხიზლა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ის დასავლური დემოკრატიული ღირებულებები, კერძოდ გარყვნილების პროპაგანდა, რომლის გავრცელებას გარკვეული რეაქციული ძალები დემოკრატიის ნიღაბქვეშ „ზნეობრივი პროგრესის“ სახით ცდილობენ.

საქართველოში გეების მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციების, არაერთი პოლიტიკოსისა და მათი უცხოელი ლობისტების მიერ ერთსქესიანთა ქორწინების პროპაგანდისათვის მხარდაჭერა, მისი მთავარ დემოკრატიულ ღირებულებად წარმოჩენა უდიდეს ზიანს აყენებს ჭეშმარიტი დემოკრატიის განვითარებას არა მარტო საქართველოში, არამედ კავკასიაში და ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში.

დემოკრატია ჩვენთვის, ისევე როგორც ყველა ღირსეული ერისთვის, არის ხალხის მიერ სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობის მიღება, სიტყვის თავისუფლება, თავისუფალი არჩევნები, ადამიანის უფლებების დაცვა, ცხოველთა უფლებების დაცვა, ხელოვნება, ჩაცმის სტილი, და ა. შ. რათა ადამიანს თავის სამშობლოში თავისუფლად ღვწის საშუალება მიეცეს.

ასევე უნდა დავძინოთ, რომ დემოკრატია უფლებებთან ერთად, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას ნიშნავს. ამის ყველაზე საუკეთესო და სამწუხარო მაგალითია ის ისტორიული რეალობა, როდესაც თავისუფალი არჩევანის წინაშე მდგარმა ათენის მოსახლეობამ, ვაჭართა და პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფის მცდელობით ფილოსოფოს სოკრატეს სახით სიკვდილი მიუსაჯეს სიბრძნეს და ამით, მსოფლიოს განმანათლებელ ბერძენ ერს სამარადჟამო სამარცხვინო დაღი დაასვეს.

როგორც ვხედავთ, თავისუფლება არ ნიშნავს ყველაფრისაგან გათავისუფლებას, როგორიცაა სინდისი, ღირსება, დიდსულოვნება, პასუხისმგებლობა ღმერთისა და ერის წინაშე.

თანამედროვე სამყაროში დღეს, უსამართლობის იგივე ფაქტებს ვხედავთ. კერძოდ, დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გარკვეული რეაქციული ძალები, „ზნეობრივი პროგრესის“ ნიღაბქვეშ კაცობრიობას თავს ახვევენ გარყვნილების უკიდურეს ფორმას, რომელიც ერთგვარ იარაღს წარმოადგენს მათ ხელში ადამიანებზე გავლენის მოსაპოვებლად, კერძოდ, გამოაცალონ ადამიანებს ღირსება, რადგანაც სირცხვილის გრძნობადაკარგული ადამიანი ადვილად ყიდის ყველას და ყველაფერს. ამას მოწმობს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების, ნაცმოძრაობის ლიდერთა და პოლიტიკოსთა საქციელი, ვინც გარკვეული დაფინანსებისა და სხვა პირადული ინტერესებიდან გამომდინარე, ლობირებას უწევენ გეების აღვირახსნილობის პროპაგანდას საქართველოში.

ეროვნული უსაფრთხოების მთავარი გარანტი მოსახლეობის ზნეობრივი სიმტკიცეა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ხელმძღვანელი, საზოგადოება ხომ არ შეიძლება ენდონ ისეთ, სირცხვილის გრძნობადაკარგულ ადამიანს, ასევე მის ლობისტებს, ვინც თავის ცხოველურ ინსტიქტებს, ისიც გაუკუღმართებულს, ყველაზე მაღლად აყენებს მაშინაც კი, როცა მთელი ერი ბრძოლაში დაღუპულ გმირებს გლოვობს. რა თქმა უნდა, არა!

ამიტომ, ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, თუ სამართლიანობის აღდგენა და ქვეყნის სწორად განვითარება გვსურს.

„სწორი აზრი უნდა ბატონობდეს ავტორიტეტზე და არა პირიქით“ — გვასწავლიან ევროპელი განმანათლებლები, რაც თავისუფალი აზროვნების, დემოკრატიის მთავარი სიმბოლოა.

აქედან გამომდინარე, ევროპა დემოკრატიული ღირებულებების გზაზე უდიდეს ავტორიტეტად გადაიქცა და მთელს კაცობრიობას კარნახობს, თუ როგორ იცხოვრონ.

ასეთი წარმატებებით გათამამებულები ხშირად არღვევენ წინაპართა დარიგებას და გვთავაზობენ უსამართლობის უკიდურეს ფორმებსაც კი. კერძოდ, ავიღოთ ერთსქესიანთა მიერ ბავშვის შვილად აყვანის კანონით ნებადართულობა.

ბავშვი, რომელსაც არ აქვს საღად განსჯის შესაძლებლობა, არ აქვს თავდაცვის უნარი, ხდება გეების ოჯახის წევრი. როდესაც იგი მოზარდი, ზრდასრული, ჯანსაღი ახალგაზრდა გახდება, როგორც ბუნების კანონით არის მოსალოდნელი, იგი შეურაცხყოფილი იქნება ნორმალურ საზოგადოებაში და არავინ იცის, თუ რას მოიმოქმედებს შემდგომში. ამიტომ გეი აღმზრდელები, ყველაფერს გააკეთებენ რომ ეს ასე არ მოხდეს და ბავშვს თავიდანვე შეაჩვევენ დამახინჯებული, გაუკუღმართებული ცხოვრების აზრს... ეს კი ადამიანთა უფლებების დარღვევის უკიდურესი ფორმაა. მიგვაჩნია, რომ ჩვენი ადამიანური მორალური პასუხიმგებლობაა, გამოვეხმაუროთ ამ ფაქტებს, რათა კაცობრიობამ ხმა აღიმაღლოს ამგვარი დემოკრატიისაგან ბავშვთა უფლებების დასაცავად.

17 მაისს მომხდარის გამო, აღლუმის ჩატარების მომხრეები თავის გამოსვლებში გულდაწყვეტით აღნიშნავდნენ, რომ საქართველო ამისათვის ჯერ არ არის მზად. იგივე შეფასებები გაკეთდა 2010 წელს, ქ. ბათუმში დაგეგმილი გეების აღლუმის ჩაშლის შემდეგ და კიდევ უფრო გააქტიურდა მასმედია გარყვნილების პროპაგანდის თვალსაზრისით. უფრო მეტიც, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლებას გაეთვალისწინებინა ხალხის აზრი და მოსახლეობის ზნეობრივი სიჯანსაღისთვის ეზრუნა, მოხდა პირიქით, ბათუმის ბულვარში დაიდგა რკინის კონსტრუქცია ორი „შეყვარებული“ გეის გამოსახულებით და ა.შ. მიმდინარეობს აქტიური პროპაგანდა, რათა მოამზადონ ჩვენი მოსახლეობა მსგავსი გარყვნილებისათვის, რომელსაც ქართველი ხალხი არაფრით არ დაუშვებს.

დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, საქართველოში ყველას აქვს თავისუფალი არსებობის უფლება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში საკუთარი გარყვნილების სხვებზე თავსმოხვევის თავისუფლება რაც, უმრავლესობის, მთელი ერის უფლებების დარღვევა და დემოკრატიული პრინციპების უარყოფაა. ეს ყველაფერი, მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციაში კარგადაა აღნიშნული, მაგრამ, როგორც ჩანს — არა საკმარისად, რადგანაც გეი აღლუმის მხარდამჭერნი მუდმივად კონსტიტუციით სპეკულირებდნენ და მიკერძოებულად წარმოაჩენდნენ მას.

ქართველმა ერმა, სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმისაგან თავის დასაღწევად, მარადიული ღირებულებების დასაცავად., ღირსეული ქართული სახელმწიფოს მშენებლობის იმედით, 2012 წლის 1 ოქტომბერს გააკეთა თავისი არჩევანი და გამარჯვება მოიპოვა. პირველ ოქტომბრამდე ჩვენ ვიბრძოდით საქართველოს გადასარჩენად, პირველი ოქტომბრის შემდეგ კი ჩვენ გვჭირდება არჩევნების მონაპოვარის დასაცავად ბრძოლა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ხალხისა და ხელისუფლების ერთსულოვნებით.

ზემოაღნიშნული უსიამოვნებებისაგან თავის დასაღწევად, მომავალი თაობების სწორად აღსაზრდელად, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, აუცილებლად მიგვაჩნია არსებული საფრთხეებისაგან დამცავი მექანიზმების შემუშავება, უპირველესად ქვეყანაში აღზრდისა და ეთიკის საკითხების მოწესრიგება, რაც ზნეობრივი კრიზისის დაძლევის საშუალებას მოგვცემს.

კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციაში და მის ქვემდებარე კანონებში ჩაიწეროს მარეგულირებელი ნორმები:

1. საქართველოში კანონმდებლობით დაუშვებლად გამოცხადდეს გეების აღლუმის ჩატარება, სხვა პროპაგანდისტული საქმიანობა, რომელიც საზოგადოების გარყვნას უწყობს ხელს და მიუღებელია ჯანსაღი, ნორმალური საზოგადოებისათვის.

2. მასმედია განიწმინდოს ბილწსიტყვაობისაგან, გეების, აზარტული თამაშების, ნარკოტიკების, ცხოვრების არაჯანსაღი წესის პროპაგანდისტული საქმიანობისაგან, რომელიც დღეს სხვადასხვა ფორმით, რეკლამების, კლიპების, სერიალების და სხვა ფილმების სახით შემოდის და კანონმდებლობით მოწესრიგებას საჭიროებს.

ეს არის ხალხის ნება!

ამ საკითხებისადმი ასეთი მიდგომა მომავლში ჭეშმარიტი დემოკრატიული ღირებულებების განვითარებისას, საშუალებას მოგვცემს რათა ძლიერ ქართულ სახელმწიფოში იყოს ძლიერი ქართული ეროვნული სული, რათა ყოვლისმომცველი გლობალიზაციის პირობებში ღირსეული ქართული ეროვნული სახე შევინარჩუნოთ და ასე წარვსდგეთ თანამედროვე კაცობრიობისა და გამოწვევების წინაშე.

პატივისცემით

ნიაზ ბოლქვაძე

ფილოსოფოსი, მწერალი, საზოგადოებრივ გაერთიანება „ქართული ოცნება სამართლიანობისათვის აჭარაში“ გამგეობის თავმჯდომარე,

წერილს ასევე ხელს აწერენ აჭარაში მოქმედი ოცდაათამდე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის, ინტელიგენციისა და ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

◎ ალიან-ჩალიანი

30 ათასი აღამიანი საქართველოს მოქალაქეობას უკანონოდ ფლობს

იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, საქართველოს 30 000 მოქალაქეს, რომელიც სხვა ქეყნის მოქალაქეობასაც ფლობს , საქართველოს ხელისუფლებისთვის ამის შესახებ არ უცნობებია.

სამინისტროს ინფორმაციით, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აქტიურად მუშაობს საარჩევნო სიების გაუმჯობესებაზე და ამ მიზნით 2013 წლის აპრილიდან განსაკუთრებული აქტივობით ახორციელებს მონაცემთა ბაზის ანალიზს. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში რეგისტრირებული 30 000 ისეთი ადამიანი, რომელთაც საქართველოს მოქალაქეობის ფლობის პარალელურად შეიძინეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობაც და ამის შესახებ არ უცნობებიათ საქართველოს სახელმწიფოსათვის.

მათივე ინფორმაციით, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეს მოქალაქეობის შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობა არ უშვებს ორმაგ მოქალაქეობას, გარდა პრეზიდენტის მიერ უცხო ქვეყნის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების შემთხვევებისა. საქართველოს სახელმწიფოს მიზანია, შეინარჩუნოს საქართველოს მოქალაქეები და დაიცვას მათი ინტერესები. ამ მიზნით სერვისების განვითარების სააგენტომ სპეციალური წერილით მიმართა ყველა ზემოხსენებულ პირს, განურჩევლად თანამდებობის, სტატუსის თუ რეგისტრაციის ადგილისა, და აცნობა იმის შესახებ, რომ საქართველოს მოქალაქეობას უკანონოდ ფლობენ.

იუსტიციის სამინისტრო მოუწოდებს ამ მოქალაქეებს, ჩაერთონ საქმის წარმოებაში და მიმართონ სერვისების განვითარების სააგენტოს ორმაგი მოქალაქეობის მოთხოვნით, რათა კანონით დადგენილი წესით მოხდეს მათთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პროცედურების დაწყება. კერძოდ, სერვისების განვითარების სააგენტო შეისწავლის განაცხადს მოქალაქეობის მინიჭების მიზანშეწონილობის კუთხით, დასკვნას გადაუგზავნის საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას და, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი მათ მიანიჭებს საქართველოს მოქალაქეობას.

უცხო ქვეყნის მოქალაქემ, რომელსაც სურს, ამავე დროს ჰქონდეს საქართველოს მოქალაქეობაც, განცხადებით უნდა მიმართოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს. საქართველოს პრეზიდენტის სახელზე წარდგენილ განცხადებას უნდა ერთვოდეს უცხოქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორი ფიზიკური პირის რეკომენდაცია, ორი ფოტოსურათი და დაბადების მოწმობის ასლი(თუ მოქალაქეობის მიღების მსურველი პირი დაბადებულია საზღვარგარეთ და აქვს აღნიშნული დოკუმენტი). საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების საკითხის განხილვისათვის მოქმედებს კანონით დადგენილი სამთვიანი ვადა.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

SIC!

ზურაბ ჟვანიას ცოლისდა მის წინააღმდეგ მოწყობილ ინტრიგებზე საუბრობს

ყოფილი **პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას მეუღლის და თამარ შენგელია თანამდებობიდან გადადგა. მიზეზად შენგელია, კულტურის სამინისტროდან მის მიმართ განხორციელებულ ინტრიგებს ასახელებს.**

ზ.ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ დირექტორმა თამარ შენგელიამ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადებით კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს რამდენიმე დღის წინათ მიმართა. როგორც „ივერონს“ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა თამარ ჩიხლაძემ განუცხადა, იგი ამის შესახებ ინფორმაციას ამ ეტაპზე არ ფლობს.

შეგახსენებთ, რომ თამარ შენგელია ზ.ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლის „ნიჭიერთა ათწლედის“ დირექტორად კულტურისა და ძეგლთა დაცვის ყოფილმა მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ 2011 წლის ზაფხულში დანიშნა.

„ჩემსა და კულტურის სამინისტროს გარკვეულ ჯგუფთა შორის უკვე რამდენიმე თვეა უთანხმოება გრძელდებოდა. ბოლო დროს ჩემს მიმართ ინტრიგებიც ააგორეს, თითქოსდა ჩემი მისამართით სამინისტროში საჩივრები შედიოდა, სადაც ხელს 20-მდე პედაგოგი აწერდა. სინამდვილეში თითოეული პედაგოგი ბოდიშს მიხდიდა, რომ მათ ხელი ისე მოაწერეს, რომ შინაარსიც არ იცოდნენ და მათ სულ სხვა წერილი გააცნეს... მოკლედ, არ მინდა, ამ ინტრიგებში მონაწილეობა მივიღო. დავწერე განცხადება წასვლის შესახებ. მე ნიკა რურუამ დამნიშნა ამ თანამდებობაზე და, ალბათ, ჩემი მოშორება უნდათ, რომ თავისი კადრით ჩამანაცვლონ. რამდენიმე დღის წინათ, მინისტრის მოადგილემ ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ შემოგვითვალა: — „გინდათ გყავდეთ საყვარელი დირექტორი? სანამ თქვენი საყვარელი დირექტორი ეყოლება მაგ სკოლას, სამინისტროსგან არანაირ დახმარებას არ ელოდოთ“ — განუცხადა „ივერონს“ თამარ შენგელიამ

მისივე თქმით, „ნიჭიერთა ათწლედში“ უამრავი ნიჭიერი მოსწავლე სწავლობს და თუ მათ სამინისტრო გვერდით არ დაუდგება, მისი თანამდებობა არაფრად უღირს.

„სკოლას დაფინანსების გარდა, სამინისტროს ხელშეწყობა სჭირდება. ჩვენ მომავალ მუსიკოსებს და ხელოვნებს ვზრდით, მართალია, დაფინანსება გაიზარდა, მაგრამ ბავშვების მომავალზე სამინისტროს ხელშეწყობაა საჭირო და ეს კულტურის სამინისტროს ვალდებულებაცაა, მაგრამ თუ ჩემი დირექტორობა ამ ბავშვების მომავალს ხელს შეუშლის, წავალ და დანიშნონ ვინც მათ სურთ“, — აცხადებს თამარ შენგელია.

მისი თქმით, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს მხოლოდ ერთხელ შეხვდა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, დაფინანსება 530 ათასი ლარით გაიზარდა, თუმცა, დაფინანსება ურთიერთობისთვის მთავარი არ არის.

„მინისტრი ახალი დანიშნული იყო და მას მხოლოდ ერთხელ შევხვდი. ამ რვა თვის განმავლობაში რამდენჯერმე ვცადე მასთან გასაუბრება, თუმცა, ეს შეხვედრა არ შედგა. ვგრძნობდი, რომ მინისტრი ჩემთან შეხვედრას თავს არიდებდა. ერთხელ ხომ მაინც უნდა მოსულიყო სკოლაში ვინმე? შევემოწმებინე? ჩემი ორწლიანი მოღვაწეობა ხომ უნდა შეემოწმებინა სამინისტროს? ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ ყველა სკოლა მოიარა და რატომღაც ჩვენთან დღემდე არ მოსულა“, — ამბობს „ივერონთან“ საუბრისას თამარ შენგელია.

იზა შაქარაშვილი.
სააგენტო „ივერონი“

სასჯელაღსრულება

5 თვეში 11 პატიმარი გარდაიცვალა

ხონის **სამკურნალო დაწესებულებაში 35 წლის პატიმარი გარდაიცვალა. იგი ხონში გლდანის მე-8 დაწესებულებიდან გადაიყვანეს. გარდაცვლილის ახლობლები გლდანის დაწესებულების ექიმებსა და სასჯელაღსრულების სამინისტროს ადანაშაულებენ.**

როგორც გარდაცვლილის და აცხადებს, ხონის დაწესებულებაში პატიმრის გადაყვანა არ შეიძლებოდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაითვალისწინეს.

„ჩემი ძმა სასჯელს გლდანის მე-8 დაწესებულებაში იხდიდა, მოულოდნელად წაიყვანეს ფსიქიატრიული ექსპერტიზის განყოფილებაში, სადაც ჩაუტარეს გამოკვლევები. შიდა სასამართლო ჩატარდა და გადაიყვანეს ნანეიშვილის სახელობის ხონი-ქუტირის სამკურნალო დაწესებულებაში. ფსიქიკური პრობლემები შიგადაშიგ აწუხებდა, თუმცა, ამასთან ერთად, ჰქონდა კუჭ-ნაწლავის პრობლემა და ტუბერკულოზი რთულ ფორმებში, რის გამოც, არ შეიძლებოდა ხონში გადაყვანა. ძალიან ბევრი განცხადება გვაქვს დაწერილი მისი ჯანმრთელობის შესახებ. შიდა სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრება 2 დღეში შეგვეძლო, მაგრამ იმ დღესვე გადაიყვანეს ხონში, სადაც არანაირი პირობა არ არის შექმნილი მძიმე ავადმყოფობით დაავადებულთა სამკურნალოდ.

სოზარ სუბარის სახელზე დაწერილი განცხადების პასუხი ჯერ კიდევ არ მოგვსვლია. განცხადებაში მინისტრს მივწერეთ, რომ პატიმარი უმძიმეს მდგომარეობაშია და დაგვხმარებოდა მისი ქსნის ან ხუდადოვის კლინიკაში გადაყვანაში. ციხეებში ჯერ კიდევ არ არის ისეთი მდგომარეობა, როგორც ჩვენ გვგონია. ადამიანის სიცოცხლე წამებს და წუთებს ითვლის. ამ მთავრობას ეს არ უნდა ეშლებოდეს. პატიმრებით მოვიდნენ ხელისუფლებაში. მეგონა, რაღაც სამართალი არსებობდა“, — განაცხადა გარდაცვლილის დამ.

ბრალდებას უარყოფენ სასჯელაღსრულების სამინისტროში, სადაც განმარტავენ, რომ პატიმარი ხონის სამკურნალო დაწესებულებაში არა სასჯელაღსრულების, არამედ ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით გადაიყვანეს. სასჯელაღსრულების მინისტრის პრესსპიკერის ირაკლი კორძაიას განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტროს კომისია წყვეტს — ესაჭიროება თუ არა მკურნალობა: **„სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის შემდეგ ასეთ ადამიანს, რომელიც უკვე არა მსჯავრდებულად, არამედ პაციენტად ითვლება, 6 თვეში ერთხელ უტარდება ექსპერტიზა. თუ მდგომარეობა გაუმჯობესებული იქნება, ადამიანს აბრუნებენ სასჯელაღსრულების სისტემაში. კონკრეტულად, გარდაცვლილი დავით ჭ. ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტიზის შედეგად იმყოფებოდა ჯანდაცვის სისტემაში გადაყვანილი, ამიტომ ის არ ირიცხება ჩვენთან“,** — განაცხადა ირაკლი კორძაიამ.

აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში წინა პერიოდთან შედარებით შემცირებულია გარდაცვალების ფაქტები. 2010-2011 წლებში სიკვდილიანობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალი იყო. ყოველი 10 ათასი პატიმრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გარდაცვალების 65-დან 72 ფაქტამდე ფიქსირდებოდა, რაც საშუალო ევროპულ და ამერიკულ მაჩვენებელს 3-ჯერ აღემატება. დღეისათვის, ეს მაჩვენებელი შემცირებულია. ბოლო 5 თვის განმავლობაში საპატიმროებში 11 პატიმარი გარდაიცვალა. რაც დაახლოებით, საშუალო ევროპულ მაჩვენებელს უტოლდება. ძირითადად, გარდაცვალების შემთხვევებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებები იწვევს.

რაც შეეხება ძალადობით გამოწვეულ სიკვდილს, ასეთი მხოლოდ ორი შემთხვევაა, ერთი გეგუთში მომხდარი ინციდენტია, მეორე კი — თვითმკვლელობა. ორივე შემთხვევაში სასჯელაღსრულების სამინისტრომ ამ დაწესებულების მაღალჩინოსნები დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. საქმეზე გამოძიებას კი პროკურატურა აწარმოებს.

სახალხო დამცველის მოადგილის განმარტებით, თუ გავითვალისწინებთ 2010-2011 წლების სტატისტიკას, გამოკვეთილად შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით სამინისტროში სერიოზული პროგრესია.

პაატა ბელთაძე for.ge-სთან საუბრისას ამბობს, რომ ხელისფლების შეცვლის შემდეგ სახალხო დამცველის სახელზე არ ყოფილა არც ერთი ფაქტი არაადამიანური მოპყრობის, წამების ან სხვა ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ.

იხ. 7 გვ.

საბანკო სფერო

„ფინანსური დალაქის“ კანონი

როგორც ჩანს, კვიპროსის ფინანსური კრიზისი და იქაური ოფშორული ზონის კრახი, რაც მისი გამჭვირვალობის კოეფიციენტის არნახული გაზრდით გამოიხატა, ევროპის სხვა ქვეყნების საბანკო სისტემის საფუძვლების მძლავრი რყევის მიზეზად იქცა. თუკი საქართველოს ევროპისკენ აღებულ მტკიცე გეზს გავითვალისწინებთ, იქაურ საბანკო სფეროში ამჟამად მიმდინარე ძვრები, ადრე თუ გვიან, ჩვენი ქვეყნის საბანკო სისტემასაც აუცილებლად შეეხება.

საქმე ისაა, რომ ახლახან ევროპარლამენტმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა: მისი გადაწყვეტილებით, კომერციულ ბანკებს მსხვილ მეანაბრეთა ანგარიშების ერთგვარი „ნაწილობრივი ექსპროპრიაციის“ სრულიად კანონიერი უფლება ექნებათ. თუმცა, ერთი კია: ლაპარაკია მხოლოდ იმ ანაბრებზე, რომელთა ანგარიში 100 ათას ევროს აღემატება. ამაზე ნაკლები თანხის მეანაბრეებს ბანკები არ შეეხებიან, ხოლო მას ზემოთ დაბეგრილი თანხიდან ამოღებულ, უფრო სწორად კი „ახეულ“ სახსრებს ბანკები მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემათა გადასაჭრელად გამოიყენებენ. თუ კანონპროექტი ევროპარლამენტართა მხარდაჭერას მიიღებს, მისი ამოქმედება წევრ ქვეყნებში 2016 წლიდანაა დაგეგმილი.

აღსანიშნავია, რომ დეპოზიტზე 100 ათას ევროზე მეტი ქონების შემთხვევაში ბანკის მიერ მეანაბრის დაბეგვრის სქემა პირველად წლეულს მარტში კვიპროსში გამოიყენეს. მაშინ ევროკავშირისგან 10 მილიარდი ევროს ოდენობის ტრანშის მიღების სანაცვლოდ (რასაც, კვიპროსი, უწინარესად, გერმანიას უნდა უმადლოდეს), მისი მთავრობა ქვეყნის ორ უმსხვილეს ბანკში დეპოზიტზე 100 ათას ევროზე მეტის მქონე მეანაბრეთა დაბეგვრას დათანხმდა. უნდა ითქვას ისიც, რომ ზოგიერთმა გამჭრიახმა ექსპერტმა იმთავითვე გამოთქვა მოსაზრება, რომ ახლო მომავალში ეს პრაქტიკა ევროკავშირის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდებოდა, რასაც საბანკო წრეებში, მასმედიაში უმეტესწილად დაუფარავი ირონიით შეხვდნენ, ახლა კი ირკვევა, რომ მდიდრების ჭარბი ფულისგან „გაპარსვის“ აჩრდილი სავსებით რეალურ სახეს იღებს, რასაც ზოგიერთმა ენაკვიმატმა „ფინანსური დალაქის საპარსიც“ კი უწოდა.

მსუყე საბანკო ანგარიშების მეპატრონეთა მხრებზე ზოგადად საბანკო სფეროში და კონკრეტული კომერციული ბანკების წინაშე წარმოქმნილი პრობლემების ტვირთის გადადების იდეის ავტორთა აზრით, ყოველივე ამან მთლიანად ევროკავშირის ზონის ქვეყნების ფინანსურ სტაბილობას უნდა შეუწყოს ხელი. ამით, ცხადია, ყველა სისხლხორცეულადაა დაინტერესებული, ხოლო, იმავე ექსპერტიზის აზრით, სახელმწიფოთა მიერ კომერციული ბანკების დახმარების აქამდე გავრცელებული პრაქტიკა, როცა საბიუჯეტო სახსრები მათ წინაშე წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტას ხმარდება, ერთიანად კონტინენტზე ფინანსურ არასტაბილურობას წარმოშობს. აქედან გამომდინარე, **საკუთარი თავის გადასარჩენი ფულადი სახსრების გამონახვა ბანკებს თავადვე მოუწევთ,** რისთვისაც აღნიშნული საკანონმდებლო ბაზა შემუშავდა. განსახილველი კანონპროექტის კიდევ ერთი მნიშვნელოვანილ ნიუანსი ისაა, რომ **საბანკო სისტემის გადარჩენის ფონდიც სწორედ მეანაბრეთა დეპოზიტების ხარჯზე უნდა შეიქმნას.** ეს კი, უდავოდ, იმას ნიშნავს, რომ, კანონმდებლების აზრით, რომლებიც, ძირითადად, თავიანთი ქვეყნების მთავრობების პოზიციებს გამოხატავენ, **საბანკო სფეროში წარმოქმნილი უკლებლივ ყველა პრობლემის გადაჭრის ტვირთის სიმძიმე მეანაბრეებზე გადადის,** სახელმწიფოს კი „გარე მაცქერალის“ პოზიცია ექნება. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა ექსპერტთა და ინვესტორთა აზრი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს თავისუფალი ფინანსური ბაზრის სავსებით შესაბამისი პრინციპია და, ამდენად, ეს მიდგომა სავსებით მართებულია, თუმცა კი, იმის შიშსაც გამოთქვამენ, რომ წარდგენილი სახით კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში, ეს გარემოება ევროპის ბანკებიდან კაპიტალის მსოფლიოს სხვა ფინანსურ ბაზრებზე გადინებას შეუწყობს ხელს, რაც კომბანკებს კიდევ უფრო მეტ პრობლემას შეუქმნის.

ოთარ ტურაბელიძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ისევ ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა?!

პატრიარქის რჩევაზე ახალი მინისტრიც დუმს!

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში, მნიშვნელოვნად გაუფასურდა ჩვენი ტრადიციული ეროვნული ფასეულობები, ზოგიერთ სფეროში თავდაყირაც კი დადგა მარადიული ღირებულებები, ლამის მთლიანად დაინგრა მეცნიერებათა აკადემია, განადგურდა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართული სამეცნიერო სკოლები, დაეცა ცოდნის დონე, ქუჩის ლექსიკონი დამკვიდრდა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მოისპო მორალურ-ზნეობრივი ინსტიტუტები, დაჩლუნგდა მშვენიერების აღქმის უნარი, საეჭვო გახდა უდავო ჭეშმარიტებად მიჩნეულ ყველაზე ავტორიტეტულ მეცნიერთა (ზ. ფროიდი, ერ. კრეჩმერი, გ. მეტილუზი, არ. შოპენჰაუერი, ფრ. ნიცშე, ოგ. კონტი, სტ. ჰეიტლისი, გ. ფრ. მეირი) შეხედულებებიც კი.

ასეთ პირობებში **ერთადერთ იმედად რჩება ჩვენი სულიერი მამა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.** მისი ყოველი რჩევა, შეგონება, დარიგება ძვირფასი და გამამხნევებელია ყველა ქრისტიანი ქართველისათვის. დღეს როცა ჩვენი ოჯახების უმრავლესობამ ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარების გამო დაკარგა თავისი ძირითადი ფუნქციები, უკიდურესად შეფერხდა ერის გამრავლებისა და სოციალიზაციის პროცესები, ასეთ ვითარებაში სწორედ პატრიარქმა მოგვიწოდა, **ვიყოლიოთ სამი და მეტი შვილი** და მანვე იკისრა თითოეული „ნამატი“ ახალშობილის ნათლიობა.

ამან ოპტიმიზმით აღავსო ქართველი საზოგადოება — ძალიან მოკლე დროის განმავლობაში **ილია II-ის ნათლული გახდა თითქმის ოთხი ათასი ჩვილი.** მართალია, საქმე მაინც არა გვაქვს სანუგეშოდ, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდით მაშინ, სულიერი მამისთვის ყური რომ არ დაგვეგდო.

სამწუხაროდ, როგორც უფლის უძღები შვილები, ხშირად ყურს არ ვუგდებთ პატრიარქის ბრძნულ შეგონებებს. ეს ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს შეეხება. ამით ზიანს ვაყენებთ ქვეყანასაც და მომავალი თაობების აღზრდის საქმესაც.

ახლა მეტ-ნაკლებად ყველასათვის ცნობილია, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია დღეს საქართველოში განათლება და მეცნიერება, რომლებსაც, არა მგონია, **„კოსმეტიკურმა შერემონტებამ“** რამე უშველოს. არადა, სკოლას, მათ შორის უმაღლეს სასწავლებელსაც, უთუოდ უნდა დავუბრუნოთ თავისი ოდინდელი პრესტიჟი, გავათავისუფლოთ ლომაია-გვარამია-შაშკინი-თევზაძის თუ გლობალიზაცია-გენდერიზაციის სხვა მესვეურთა მიერ თავსმოხვეული დამღუპველი ფსევდორეფორმებისგან. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს აბიტურიენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები. მათი წყალობით უმაღლესში ირიცხებიან ახალგაზრდები, რომელთაც მინიმალური საბაზისო ცოდნაც არ გააჩნიათ. ამის გამო ტყუილად როდი ხუმრობენ: **ატა-ბატა, გავიდა კვატა.** ამასთანავე, საგანგაშო ეს არის: ამაზე თავს არ იწუხებენ არც აღსაზრდელები და არც მათი მშობლები, არც მოსწავლეები და არც მასწავლებლები.

შარშან პატრიარქმა ერთ-ერთი ქადაგებისას განათლებისა და მეცნიერების სფეროს მესვეურებს ურჩია, **მეტი ყურადღება მიექციათ ქვეყანაში ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის განვითარებისათვის.** მისი აზრით, სასურველია, ეს დისციპლინები სკოლებში ისწავლებოდეს.

როგორც ფსიქოლოგიის პედაგოგს, დიდად მომეწონა პატრიარქის რჩევა და მაშინვე გავაგზავნე მხარდამჭერი წერილი იმდროინდელი განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან, ბატონ დ. შაშკინთან და იმედი გამოვთქვი, რომ თვითონაც და მისდამი რწმუნებული სისტემის სხვა მესვეურებიც ყოველმხრივ გაიზიარებდნენ სულიერი მამის ამ რჩევას. სამწუხაროდ, სამინისტროდან არავინ გამოხმაურებია ჩემს წერილს. როცა ცხელ ხაზზე რამდენჯერმე შევეხმიანე, მიპასუხეს: პასუხს ტყუილად ელოდებით თქვენს წერილზე, რადგან **პატრიარქის რჩევა ჩვენი მინისტრისათვის კანონი არ არისო.**

მართალი გითხრათ, სულაც არ გამკვირვებია მათი ასეთი უცნაური პასუხი, რადგან შაშკინზე უკვე მქონდა ჩამოყალიბებული გარკვეული შეხედულება და ვიცოდი, რა ფასი ჰქონდა მის სიტყვას. საქმე ის გახლდათ, რომ ორიოდე წლის წინათ, 2010 წელს, უკვე ვიყავი შეხვედრილი მასთან, როცა იგი ქ. ზუგდიდის მე-2 საჯარო სკოლის პედკოლექტივს ხვდებოდა. სწორედ ამ შეკრებაზე დავუსვი მას რამდენიმე კითხვა. ერთი სკოლებში ყბადაღებული ვაუჩერების შემოღებას შეეხებოდა, რომელმაც, ჩვენი აზრით, უკიდურესად გააუარესა სკოლებში სწავლა-აღზრდის საქმე; მეორე კითხვა შეეხებოდა სკოლებში ფსიქოლოგების ბედს, რომლებიც თვეში 50 ლარად ვმუშაობდით.

პირველ კითხვაზე, ბ-მა მინისტრმა, ჩვენდა გასაოცრად გვიპასუხა: ვაუჩერებმა ბევრი კარგი საქმე გაკეთა, ხოლო, რაც შეეხება ფსიქოლოგებს, მათ შეუძლიათ, მშვიდად იმუშაონ, არაფერი ემუქრებათო, თუმცა, სულ ცოტა ხანში, მისი ბრძანებით ამ კურსის პედაგოგები საერთოდ გამოგვყარეს სკოლიდან და მათხოვრული ანაზღაურება — 50 ლარიც ამოგვაცალეს ჯიბიდან.

ასე შეასრულა მაშინ ბ-მა დ. შაშკინმა თავისი დანაპირები და რატომ უნდა მგონებოდა, რომ იგი პატრიარქის რჩევას ყურად იღებდა.

გამიხარდა, როცა 1 ოქტომბრის არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ განათლებისა და მეცნიერების მინისტრად ბ-ნ **გ. მარგველაშვილი** დანიშნა და, ცხადია, ახლა მას შევახსენე პატრიარქის რჩევა, მაგრამ, სამწუხაროდ, **ამ საკითხზე ახალი მინისტრიც რატომღაც დუმილს ამჯობინებს.**

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ გაუგებარია, ფსიქოლოგებისა და ფსიქოლოგიური განათლებისადმი განათლება-მეცნიერების დღევანდელ მესვეურთა დამოკიდებულება. არადა, ჩვენს მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობას შეიძლება **მომავალში ფსიქოლოგიის ცოდნა უფრო მეტად დასჭირდეთ, ვიდრე საკუთარი ძირითადი პროფესია.** ამ დროს, წარსულის ინერციით, ზოგ უმაღლეს დაწესებულებაში როგორც მოეპრიანებათ, ისე ადგენენ სხვადასხვა სპეციალობაზე ფსიქოლოგიის სწავლების პროგრამებს და ერთსა და იმავე სპეციალობაზე სხვადასხვა ფსიქოლოგიურ დისციპლინას ასწავლიან; გაუგებარია ისიც, რომ არც ჰუმანიტარულ და არც საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე არჩევით ბადეშიც ვერ ნახავთ ფსიქოლოგიას, თუმცა, სკოლაში მასწავლებლებისგან სერტიფიკატს და თითქმის ყველა ცნობილი ფსიქოლოგის (ზ. ფროიდისგან დაწყებული და დ. უზნაძის ნაშრომებით დამთავრებული) ცოდნას ითხოვენ. რაც შეეხება პედაგოგთა შესარჩევ კონკურსებს, ახლა, ფაქტობრივად, არანაირი კრიტერიუმებით არ არის რეგლამენტირებული მათში მონაწილეობა. არადა, მასწავლებლობის უფლება მხოლოდ იმათ უნდა ჰქონდეთ, ვისაც საამისო საბაზისო განათლება აქვს და არა ყველას, ვისაც ეს მოესურვება.

ცხადია, დროულად უნდა ამოქმედდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალ მესვეურთა შეუშავებული პრინციპი: **მეტი ცოდნა — მეტი დაფინანსება!** თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს **მეტი დაფინანსება** ყოველთვის მეტ უკუგებას იძლეოდეს. **თუ ადამიანი მოტივირებულია უწინარესად მხოლოდ გულუხვი ხელფასით, კარგი ანაზღაურებით და არა მაღალი ზნეობრივი იდეალებით, მაშინ ხელფასი, ანაზღაურება, რომელსაც იგი დღეს იღებს, უკვე მომავალ წელს მას ვერანაირად ვერ მიანიჭებს უწინდებურ სიამოვნებას და ეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა სულ უფრო და უფრო გაუღრმავდება და ვინ იცის, როგორ ქვენა გრძნობებს გაუჩენს.**

ეს მთლიანად დაადასტურა სააკაშვილის 9-წლიანი ავტოკრატიული მმართველობის პერიოდში განხორციელებულმა გაუგონარმა **ანტისახელმწიფოებრივმა სახელფასო-საპრემიო-სადანამატო პოლიტიკამ,** რომელმაც საბიუჯეტო სახსრების დატაცება-გაფლანგვის ლეგალიზებული სახე მიიღო — ე. წ. ყოფით, სახალხო, მასობრივ, წვრილმან კორუფციას ელიტარული სახე მისცა და კანონსაწინააღმდეგო, დანაშაულებრივი, დასჯელი მოვლენიდან **სამოხელეო საქმიანობის ერთ-ერთ ჩვეულებრივ შემადგენელ ელემენტად აქცია,** რამაც ჩინოვნიკთა ფენას დიდად გაუიოლა გაურჯელად, სხვისი მონაგარით გამდიდრება. ჩინოსანს, სამუშაო ადგილების უმწვავესი დეფიციტის პირობებში, შეეძლო, ერთდროულად სამი-ოთხი თუ მეტი თანამდებობა დაეკავებინა და პრემია-დანამატების გარეშე მხოლოდ ხელფასის სახით წელიწადში ერთგან 71 435 ლარი მიეღო, მეორეგან — 264 000, მესამეგან — 42 138 ლარი და ა.შ.

ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ სააკაშვილის ხელისუფლების დროს **საპრეზიდენტო, საპარლამენტო და სამთავრობო სტრუქტურების, ანუ პოლიტიკური ელიტის შენახვა 1,8-ჯერ მეტი ჯდებოდა, ვიდრე განათლების დაფინანსება, 5-ჯერ მეტი — ვიდრე კულტურისა და სპორტისა, 3-ჯერ მეტი — ვიდრე ჯანდაცვისა, 1,2-ჯერ მეტი — ვიდრე მთელი სოციალური სფეროსი.**

გამოსავალი ერთადერთია — უთუოდ უნდა ვასწავლოთ ჩვენს ჩინოსნებს **ხალხის ცხოვრებით ცხოვრება,** აღვზარდოთ მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმებით მოტივირებული ზნეკეთილი პიროვნებები. როგორც პატრიარქი ბრძანებს, ***„ჩვენი* ახალგაზრდები ნიჭიერები და განვითარებულები არიან, მაგრამ მათ აღზრდა აკლიათ. ისინი სათანადოდ ვერ აღზარდა ვერც სკოლამ, ვერც მშობელმა და ვერც ეკლესიამ!“**

ბოლო ათწლეულში ჩვენმა საზოგადოებამ ვირტუალურ სამყაროში იცხოვრა, არსებითად შეიცვალა ხალხის ცნობიერება, მოირყა ახალი თაობების აღზრდის ტრადიციული ინსტიტუტები — **ოჯახი, სკოლა, განათლება.** დიდი ძალისხმევა დაგვჭირდება, რათა დავუბრუნოთ მათ თავიანთი ძირძველი ფუნქციები, უარი უნდა ვთქვათ გლობალისტთა მიერ გამეტებულ მესამე სამყაროს განვითარებადი ქვეყნისა თუ კოლონიის სტატუსზე და თუ ამას შევძლებთ, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ **საქართველო გადაურჩა გლობალიზაციის დამღუპველ შედეგებს.** ეს შესანიშნავად შეძლეს აზიის ვეფხვებად წოდებულმა შედარებით პატარა ქვეყნებმა. მათ შეურყვნელად შეინარჩუნეს თავიანთი თვითმყობადი ცივილიზაცია — ეროვნული კულტურა, განათლება, მეცნიერება, ამასთანავე, მშვენივრად ახერხებენ თავიანთი ხალხების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის უზრუნველყოფას, მსოფლიო თანამეგობრობის ოჯახის ღირსეულ წევრობას.

ქართველობას ყველა სულიერი, ინტელექტუალური და მატერიალური რესურსი აქვს ამ ეპოქალური ეროვნული ამოცანის წარმატებით გადასაწყვეტად.

გურამ კვიკვინია,
ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორი.

თბილისი. 19. 05. 2013

◎ ალიან-ჩალიანი

თურქეთს ახლა თუ იშხანისთვის სცალია, ჩვენს შენიშვნებს გაითვალისწინებს

საძართველოსა და თურქეთს შორის უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, სადაც იურიდიულად დაფიქსირდება ქართველი ექსპერტების დაშვების საკითხი იშხანის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, საგარეო საქმეთა სამინისტრომ თურქეთის ხელისუფლებას მიმართა, რომ ქართველი ექსპერტები იშხანის სარესტავრაციო სამუშაოებზე დაეშვა.

— ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ თურქული მხარე ჩვენ შენიშვნებს გაითვალისწინებს. ამაში კიდევ უფრო დაგვეხმარება ის ხელშეკრულება, რომელიც უნდა გაფორმდეს საქართველოსა და თურქეთს შორის, სადაც უკვე იურიდიულად დაფიქსირდება ჩვენი ექსპერტების დაშვების აუცილებლობა, რათა მათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ იქ მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოებში, — განაცხადა ზალკალიანმა.

მისი თქმით, ეს ხელშეკრულება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არის გადაგზავნილი.

დევნილი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა

გორის სასულიერო სასწავლებლის საგამოფენო დარბაზში აფხაზეთიდან დევნილი მხატვრის დავით ბაძაღუას ფერწერული ნამუშევრები გამოიფინა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან აცნობეს, გამოფენა — „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა — აფხაზეთი“ სამთავისისა და გორის მიტროპოლიტის, მეუფე ანდრიას ინიციატივით გაიმართა.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი გენო კალანდია, გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი პაპუნა კობერიძე და ადგილობრივები დაესწრნენ.

პროექტის ფარგლებში მხატვარმა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის 22-მდე ძეგლის — ბედიის, ილორის, მოქვის, ლიხნის, ანაკოფიის, გაგრის, დრანდის, ჭუბურხინჯის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების სერია შექმნა. გამოფენაზე 45-მდე ნახატი იყო წარმოდგენილი. პარალელურად, გორის ახალგაზრდული ანსამბლის მონაწილეობით შესრულდა აფხაზური ცეკვა და ქართულ-აფხაზური სიმღერები.

ივნის-ივლისში მხატვრის ნამუშევრების გამოფენა ქუთაისსა და ზუგდიდში გაიმართება.

დავით ბაძაღუას ნამუშევრები ინახება ამერიკის, გერმანიის, ჰოლანდიის, ავსტრიის, თურქეთის და ევროპის სხვა ქვეყნების კერძო კოლექციებში.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ხელისუფლების ცვლილების შემდეგ ბევრი ისეთი საინტერესო საქმე წამოტივტივდა, რომელიც ხელახალ ძიებასა და გადასინჯვას მოითხოვს. მაგალითად, ასეთია გაყიდული სახელმწიფო ქონების თემა, როცა შენობის ახალი მეპატრონის ვინაობა გაურკვეველია, ხოლო ძველ მფლობელს პასუხი არა აქვს, თუ რატომ გაიყიდა ქონება. ჟორდანიას ინსტიტუტი, რომელიც კოსტავას ქუჩაზე მდებარე შენობაში იყო განთავსებული, დიღომში გადაიტანეს. შენობა გაიყიდა, თუმცა იქ დღემდე არაფერი შეცვლილა. გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობისა არ იყოს, მისით დაინტერესების მიზეზი სავარაუდოდ ადგილმდებარეობაა, რომელიც მიმზიდველია ინვესტორისთვის.

ამ და სხვა თემებზე სასაუბროდ კიდევ ერთხელ ვეწვიეთ ჟორდანიას ინსტიტუტის ყოფილ დირექტორს, ბატონ არჩილ ხომასურიძეს, რომელიც ძალიან საინტერესო მოსაუბრეა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის პროფესიონალიზმზე.

არჩილ ხომასურიძე:

აბორტი პოლიტიკოსების სასპეკულაციო თემა არ არის, გავუფრთხილდეთ დედას!

რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსასწორებლად

— ბატონო არჩილ, თქვენ 1984 წლიდან ხელმძღვანელობდით ჟორდანიას ინსტიტუტს. თუმცა, ყველაზე დიდი პრობლემები ბოლო წლებში შეგექმნათ.

— თქვენ გინდათ მკითხოთ, რატომ გამომაგდეს ჟორდანიას ინსტიტუტიდან? ალბათ იმიტომ, რომ „არ შევესაბამებოდი“ მათ დონეს, არ იყო საკმარისი ჩემი ცოდნა და გამოცდილება. სერიოზულად კი გეტყვით, რომ ეს ჩვენი ქვეყნის რეალობისთვის დამახასიათებელ ბანალურ ვითარების შედეგია, რაც აგებულია უსინდისობაზე, გადაგდებაზე, უმადურობაზე, სიცრუესა და არაპროფესიონალიზმზე, მასში მონაწილე პერსონაჟები სამუდამოდ ამოვსახსრე ჩემი ცხოვრებიდან...

— მაგრამ ამის მიუხედავად, თქვენ დაინტერესებული ხართ იმ შენობის ბედით, სადაც ათეული წლების განმავლობაში მოღვაწეობდით. თქვენი აზრით, ამ გადასახედიდან, რატომ დადგა ძველი შენობის გაყიდვის საკითხი?

— ეს არის მაგალითი პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი არაკორექტულობისა. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, 90-იან წლებში, თითქმის ყველა საავადმყოფოს ძალიან გაუჭირდა. ერთადერთი, ჟორდანიას ინსტიტუტი მუშაობდა სწორედ მისი სპეციფიკიდან გამომდინარე. თანამშრომლებს არასოდეს უგრძვნიათ პაციენტის ან ხელფასის ნაკლებობა. მართალია, დე-იურე ინსტიტუტი სახელმწიფოს კუთვნილება იყო, მაგრამ ერთი თეთრი არასოდეს მიგვიღია, პირიქით, ბეგარას ვიხდიდით. ინსტიტუტი იყო ძალიან რენტაბელური და მომგებიანი სახელმწიფოსთვის...

— ინსტიტუტის შენობა მაინც გაიყიდა, თუმცა მე მახსოვს, რა კორექტული იყავით სახელმწიფოს მიმართ და იმედი გქონდათ, რომ მოლაპარაკებები ინსტიტუტის სასარგებლოდ გადაწყდებოდა...

— რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი“... ამ თემაზე წინა ხელისუფლებასთან ბრძოლას 9 წელიწადი შევალიე იმის მაგივრად, რომ წიგნი და სტატია დამეწერა, ლექცია წამეკითხა... მაინც წავაგე. ვიტანდი ყველანაირ შანტაჟს, ვინაიდან 200 თანამშრომლის ბედი ჩემზე იყო დამოკიდებული.

— შანტაჟში რას გულისხმობთ?

— შემომთავაზეს, დიღომში მოგცემთ გარემონტებულ შენობასო. მოცემაში არ იგულისხმებოდა ჩუქება, ჩვენ უნდა გვეყიდა, თუმცა შედარებით დაბალ ფასში. თუკი იხმაურებ, ძვირად მოგყიდით, თუ არადა მისაღებ პირობებს შემოგთავაზებთო... როცა საქმე ფულს უკავშირდება და ყველაფერი იყიდება, სხვა გამოსავალი არ გრჩება.

— დღემდე არ იცით, ვინ არის მყიდველი?

— მყიდველი, ბუნებრივია, არსებობს. მაგრამ ის არ არის რეალური ინვესტორი, მის უკან, ჩემის აზრით, სხვა დგას. ჭორის დონეზე გამიგია, რომ ისინი ის პოლიტიკოსები არიან, ვინც დღეს ციხეში სხედან, ან ქვეყნიდან არიან გაქცეულები.

— ანუ „ყოფილები“... მაგრამ დღეს უკვე დაიწყო იმ შენობაში სარესტავრაციო სამუშაოები. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანს.

— გააქტიურდნენ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ. ალბათ, იმის საილუსტრაციოდ, რომ კეთილსინდისიერი მყიდველები არიან...

— რატომ გაძნელდა ოფიციალურ დონეზე იმის გაგება, რეალურად რა მიზნები იმალებოდა ამ შენობის გაყიდვის უკან?

— რამდენჯერმე მივმართე ოფიციალურ ინსტანციებს, მაგრამ ვერავინ გვიპასუხა ამ შეკითხვაზე. ეკონომიკის სამინისტროში კი ასე გვიპასუხეს, აღებმიცემობის შესახებ დოკუმენტები ვერ ვიპოვეთო... დღესაც ეძებენ.

— პარადოქსია. ვერც ახალმა მთავრობამ უპოვა ამ საქმეს თავი და ბოლო?

— ამ ხელისუფლებას უნდა ვაცადოთ. იქნებ რამე გამოვიდეს. შეიძლება ესეც ერთ-ერთი საინტერესო გამოსაძიებელი თემა გახდეს. აუცილებლად უნდა განიხილონ ეს საკითხი.

ძალიან მტკივა გული. იოსებ ჟორდანიას მიერ დაარსებულ ინსტიტუტს არაადამიანურად, არაჰუმანურად, არაადეკვატურად მოექცნენ, მე კი არ მინდა, მისი სახელი დაკნინდეს. როცა ქვეყანაში ასეთი ცუდი დემოგრაფიული ვითარება გვაქვს, უშვილობის მკურნალობის მთავარი დაწესებულებისთვის ხელის ხლება შეიძლებოდა?! ვინც ეს გააკეთა, ის არის მთავარი მტერი ერის გამრავლებისა...

— ბატონო არჩილ, ვინაიდან დემოგრაფიას შეეხეთ, უნდა გკითხოთ ჩვენს წინა ინტერვიუზე, რაც აბორტის აკრძალვას შეეხებოდა. რა გამოხმაურება მოჰყვა იმ წრეებში, ვისთანაც ურთიერთობა გიწევთ? რაც შეეხება მკითხველთა მოსაზრებებს, არაერთგვაროვანია: ზოგი აბორტის აკრძალვის მომხრეა, ზოგი კი — წინააღმდეგი.

— სამედიცინო საზოგადოებაში ერთი და იგივე მოსაზრებაა აბორტთან დაკავშირებით. ვისაც კარგად ესმის ეს საკითხი, მან იცის, რომ აკრძალვაზე საუბარი სისულელეა! მსოფლიო გამოცდილებიდან და პრაქტიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია ასეთი რამ. როცა აბორტი რეალობაა, აკრძალვას მოაქვს მხოლოდ მისი გადასვლა იატაკქვეშ და დედათა და ბავშვთა მოკვდაობის ზრდა. იოსებ ჟორდანიას ორი უმთავრესი მიზანი ამოძრავებდა. ეს იყო ბრძოლა უშვილობასთან და აბორტთან. ამისთვის საკმაოდ ვიღვაწეთ. ამჟამად კონტრაცეპტივის შესახებ ინფორმირებულია ჩვენი საზოგადოება, შეიძლება თამამად განვაცხადო, რომ საქართველოში აბორტი დამარცხებულია!

— როგორც ვიცი, პარლამენტში უახლოეს მომავალში დაიწყება ამ თემის განხილვა. თუ ჩართეს ამ საკითხზე მუშაობისას ექსპერტები სამედიცინო სფეროდან, რამდენად ხართ ინფორმირებული?

— არ მესმის, როგორ შეიძლება ეს საკითხი პოლიტიკოსებმა განიხილონ. ეს არ არის პარლამენტში განსახილველი თემა. როგორც ვიცი, სამედიცინო წრეებში ამის შესახებ დისკუსია არავის გაუმართავს. პოლიტიკოსები პოლიტიკურ დივიდენდებს ეძებენ და მზად არიან საწინააღმდეგო აზრის ჩასაქოლად. კი ბატონო, ჩამქოლონ!

მე მაინც მგონია, რომ მის უწმინდესობას რაღაცნაირად თავს მოახვიეს ეს თემა. სულ ცოტა დარჩა აბორტის დამარცხებამდე, მედიკოსები მივხედავთ ამ საქმეს. პოლიტიკოსებს კი გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეები აქვთ მოსაგვარებელი, ვიდრე აბორტის კრიმინალიზაციაა. ეს არ არის სასპეკულაციო თემა, გავუფრთხილდეთ დედას!

— კიდევ ერთი პრობლემა, რომელმაც ბოლო დროს ძალიან მიიპყრო საზოგადოების ყურადღება — ეს არის სექსუალური უმცირესობები. თქვენ როგორ უყურებთ ამ საკითხს?

— 19 წელიწადი ვმუშაობდი ექსპერტად ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციაში, სადაც ქალთა უფლებებს ვიცავდი. პარალელურად დავალებული მქონდა ლექციების წაკითხვა სექსუალურ უმცირესობათა უფლებებზე. ჩემს გამოსვლებში ვალდებული ვიყავი აღმენიშნა, რომ საჭიროა ამ ადამიანების უფლებების დაცვაც. მაგრამ... არასოდეს ვუმალავდი აუდიტორიას ჩემს სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც არის აბსოლუტურად უარყოფითი. ამის შესახებ ცნობილი იყო ორგანიზაციის ხელმძღვანელებისთვისაც. სხვათა შორის, არ იყვნენ წინააღმდეგნი.

— ანუ თქვენ ლგბტ საზოგადოება არ მოგწონთ?

— დიახ, ეს კონტინგენტი, რომელსაც მე პაციენტებს ვუწოდებ, არ მომწონს. თუ გნებავთ, დამძრახეთ. ვიცავდი მათ უფლებებს, მაგრამ სუბიექტურად უარყოფითად ვარ განწყობილი.

— რატომ? როგორ უდგებით ექიმები სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს: ვინაიდან თქვენ მათ პაციენტები უწოდეთ, გკითხავთ, ეს ერთგვარი პათოლოგიაა?

— ამ დარგის გამოხატული სპეციალისტი არ გახლავართ, მაგრამ ჩემი აზრით, ეს არის სამედიცინო გადახრა, პათოლოგია, რომელიც მონიტორინგის, მკურნალობის თუ ფსიქოპროფილაქტიკის საშუალებით შესაძლებელია განიკურნოს. მაქვს იმის განცდა, რომ ზოგიერთი პაციენტის შემობრუნება შესაძლებელია.

— მადლობა, ბატონო არჩილ. ჩვენი საუბრიდან გამოიკვეთა, რომ აბსოლუტურად სხვა გეგმაზომიერი მეთოდები უნდა დაისახოს სახელმწიფომ იმისთვის, რომ გამოასწოროს დემოგრაფიული მდგომარეობა. ამას ნამდვილად არ შეუწყობს ხელს არც შენობა-ნაგებობებიდან ექიმების გამოყრა და იმ ინსტიტუტების მუშაობისთვის ხელის შეშლა, რომლებიც უშვილობას ებრძვიან. არც ლგბტ საზოგადოების რეკლამირება-ლეგალიზაცია, რომელსაც სხვა თანამდევი მიზეზებიც ახლავს, გარდა იმისა, რომ უშვილობასთან არაპირდაპირ კავშირშია. რაც შეეხება აბორტის კრიმინალიზაციას, ამაზეც უკვე ვრცლად ესაუბრეთ მკითხველს...

თეა მოსია

სასჯელაღსრულება

5 თვეში 11 პატიმარი გარდაიცვალა

(მეხუთე გვერდიდან) „ზოგადად დამოკიდებულება შეცვლილია სახელმწიფოში. ნულოვანი ტოლერანტობიდან გადავედით ობიექტური და სამართლებლივი სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. ბუნებრივია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რადიკალურად შეცვლილია მოპყრობა უკეთესობისკენ, რაც სიკვდილიანობის შემცირებაზეც არის ასახული.

ზოგადად სამოქალაქო სექტორში პატიმრებისთვის გაწეული დახმარების მაჩვენებლით გაცილებით გაზრდილია. თუმცა, გამოწვევები და პრობლემები არსებობს. ბუნებრივია, უნდა გაგრძელეს მონიტორინგი, ასევე უნდა გაუმჯობესდეს ინფრასტრუქტურა. ჯერ კიდევ რამდენიმე საპატიმრო რჩება რომელიც არ შეესაბამება შესაბამის სტანდარტებს,“ — ამბობს ბელთაძე.

რაც შეეხება ძალადობის ფაქტებს, როგორც პაატა ბელთაძე აცხადებს, ცუდია, როდესაც ასეთი ფაქტი ხდება. მაგრამ ერთია, როდესაც ფაქტი ხდება და მეორე, რამდენად ადეკვატურია რეაქცია ამა თუ იმ ძალადობის ფაქტზე, რომელიც დახურული ტიპის დაწესებულებაში შეიძლება მოხდეს. მისივე განმარტებით, საქართველოს სხვადასხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაგეგმილია ფართომასშტაბიანი მონიტორინგი. მას შემდეგ, რაც გამოიკვეთება 8-თვიანი პერიოდის ანალიზი, სასხალხო დამცველის მიერ მომზადდება ცალკე ანგარიში.

უფლებადამცველი გელა ნიკოლეიშვილი საპატიმროებში პატიმრების სიკვდილიანობის შემცირების რამდენიმე მიზეზს ასახელებს, პატიმართა რაოდენობის შემცირებას და იმას, რომ არ ხდება სერიოზული დაზიანებების ხელოვნურად მიყენება.

პატიმართა შემცირების კვალობაზე გაიზარდა ბიუჯეტი, ეს მნიშვნელოვლად დადებით შედეგებს იძლევა. პატიმრებს მიეწოდებათ მედიკამენტები, უტარდებათ სასწრაფო ოპერაცია, ძირითადად გაყავთ ქალაქის საავადმყოფოში, ადრე ეს წარმოუდგენელი იყო. მომამკვდავი უნდა ყოფილიყო პატიმარი, რომ გადაეყვანათ. ამ ყველაფერმა გამოიწვია ბუნებრივად სიკვდილიანობის შემცირების ფაქტი,“ — განაცხადა for.ge-სთან საუბრისას გელა ნიკოლეიშვილმა.

რაც შეეხება ძალადობით გამოწვეული სიკვდილის ორ შემთხვევას, ექსპერტი კახი კახიშვილი განმარტავს, რომ ამ კუთხით მდგომარეობა არაა იდეალური.

„ყოველ შემთხვევაში სტატისტიკა შეიცვალა. ბუნებრივია, იმანაც ითამაშა დიდი როლი, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის პატიმარი გამოვიდა ციხიდან ამნისტიის შედეგად. რაც მნიშვნელოვანია, გაუმჯობესდა პირობები, ვიცით, როგორი ვითარება იყო. ავადმყოფობის გამო სასჯელის გადავადება საერთოდ არ ხდებოდა, ძირითადად ეს ნაცნობების ჩარევის შემდეგ ხდებოდა.

რაც შეეხება ძალადობით პატიმრების გარდაცვალების ფაქტებს, ვფიქრობ, რომ უხეში დარღვევებია გამოვლენილი რეჟიმის კუთხით. პირდაპირ სახეზეა, რომ უსაფრთხოების და რეჟიმის სამსახურებმა ვერ იმუშავეს ამ დაწესებულებაში. გამოძიებამ უნდა დაადგინოს აბსოლუტურად ყველა ის პირი, ვისი მოქმედებით ან უმოქმედობით იყო გამოწვეული ეს ტრაგიკული ფაქტი,“ — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას კახი კახიშვილმა.

თამთა ძარჩავა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართული ციხის ზედამხედველი „განსაკუთრებულ თანამშრომლად“ იქნა მიჩნეული

თბილისის სასამართლომ წერტილი დაუსვა გახმაურებულ საქმეს თბილისის ციხეში პატიმრების წამების შესახებ, რამაც მრავალმხრივ განსაზღვრა შარშანდელი პარლამენტის არჩევნების შედეგები. ციხის ხელმძღვანელობამ, აგრეთვე სასჯელაღსრულების სამინისტროს ექსჩინოვნიკებმა მიიღეს სხვადასხვა ვადები. მაგრამ ყოფილი ზედამხედველი ვლადიმერ ბედუკაძე, რომელმაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს გადასცა ვიდეო პატიმრებზე ზემოქმედების შესახებ, გათავისუფლებულია პასუხისმგებლობისგან „გამოძიებასთან განსაკუთრებული თანამშრომლობის“ გამო. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გარემოცვაში დარწმუნებული არიან: ციხის ზედამხედველს მადლობა გადაუხადეს იმ სკანდალისთვის, რომელმაც ხელისუფლებაში პრემიერი ბიძინა ივანიშვილი მიიყვანა.

პატიმრების წამების შესახებ სკანდალური ვიდეოს ავტორი გათავისუფლებულია პასუხისმგებლობისგან

სკანდალი თბილისის გარეუბანში გლდანის ციხეში პატიმრების წამების შესახებ გაჩაღდა შარშან სექტემბერში. ვიდეოკადრებმა დამამცირებელი კადრებით, რომლებიც ზედამხედველმა ბედუკაძემ გადასცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, დიდი რეზონანსი გამოიწვია და, ბევრი ექსპერტის აზრით, მან მიგვიყვანა პრეზიდენტ სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებასთან პარლამენტის არჩევნებში.

მთლიანად საქმეში გადიოდნენ ციხის 17 თანამშრომელი და ხელმძღვანელი, აგრეთვე სასჯელაღსრულების სამინისტროს მაღალი რანგის ჩინოვნიკები. შედეგად სასამართლომ წამებებში, აგრეთვე „პატიმრების ღირსების შემლახავ მოქმედებებში“ დამნაშავეებად მიიჩნია და თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 6 წლამდე მიუსაჯა დანაშაულებათა აღსრულების სისტემის ექვს თანამშრომელს. მაგალითად, სამინისტროს **„ციხის დეპარტამენტის ექსუფროსმა გაგა მკურნალიძემ, რომელიც თებერვალში შეეცადა თვითმკვლელობას, შემდეგ კი მთლიანად აღიარა დანაშაული, მიიღო 3 წლისა და 4 თვის სასჯელი. ციხის ყოფილ უფროსს დავით ხუჭუას და მის მოადგილეს ვიქტორ ყაჭეიშვილს სამი წლის ციხე მიუსაჯეს. 8 განსასჯელმა დადო ხელშეკრულება გამოძიებასთან, კიდევ ორთან დაკავშირებით სასამართლომ ბრალდებას შეუცვალა კვალიფიკაცია სხვა მუხლებით და მათ მიესაჯათ სასჯელი „დანაშაულის გაუხმაურებლობის“ გამო.**

სკანდალის ავტორი ვლადიმერ ბედუკაძე, რომელიც იღებდა წამებისა და დამცირებათა ყველა სცენას ვიდეოზე, მთლიანად გათავისუფლებულია პასუხისმგებლობისგან მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის შუამდგომლობის საფუძველზე „გამოძიებასთან განსაკუთრებული თანამშრომლობის“ გამო. მთავარმა პროკურორმა დაადასტურა, რომ უფლება ჰქონდა მოეხსნა ყველა ბრალდება ბედუკაძისგან, ვინაიდან იგი „დაგვეხმარა სისტემურ დანაშაულებათა გამოაშკარავებაში“ სასჯელაღსრულების სამინისტროში. „ამ კაცმა თავად, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაამჟღავნა საშინელი კადრები. უიმისოდ ჩვენ ვერ შევძლებდით გაგვეხსნა დანაშაული და საზოგადოება ვერაფერს გაიგებდა ამ წამებათა შესახებ“, — განმარტა არჩილ კბილაშვილმა. მისი სიტყვებით, „ბედუკაძის მოქმედებებმა ათასობით პატიმარი იხსნა წამებისა და ცემებისგან მომავალში“.

საქართველოს პრეზიდენტის გარემოცვაში კი ამტკიცებენ, რომ ვლადიმერ ბედუკაძის მოქმედებები სულაც არ ყოფილა უანგარო. სკანდალის პერიოდში მაშინდელმა მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ განაცხადა, რომ ზედამხედველმა ბედუკაძემ გაუპატიურების სცენების დადგმისა და ვიდეოს გამჟღავნებისთვის ბიძინა ივანიშვილისგან ორი მილიონი დოლარი მიიღო. **„ეს სრული სისულელეა. არანაირი ფული ბედუკაძისთვის არავის გადაუხდია. განა ჰგავს იგი მილიონერს?“,** — განაცხადა ჩვენთან საუბარში დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან“ ზვიად ძიძიგურმა. მან შეგვახსენა, რომ ბედუკაძე შიმშილობდა ბრიუსელში, სადაც სკანდალის შემდეგ იგი ცდილობდა მიეღო პოლიტიკური თავშესაფარი, არ შეეძლო, გადაეხადა ბინის ფული და იძულებული იყო დაბრუნებულიყო სამშობლოში, მიუხედავად გასამართლების საფრთხისა.

ოპოზიციას ეს არგუმენტები არ არწმუნებს. **„ივანიშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებაში მოვიდნენ, უწინარეს ყოვლისა, ბედუკაძის წყალობით, რომელიც თავადაც აწამებდა ხალხს და თავად იღებდა ვიდეოს,** — განუმარტა ჩვენს გაზეთს დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ აკაკი ბობოხიძემ. — რასაკვირველია, მათ არ შეეძლოთ მისი დაპატიმრება ისე, რომ თავისი თავისთვის ზიანი არ მიეყენებინათ“.

სხვათა შორის, როგორც ჩვენს გაზეთთან საუბარში პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისიის წევრმა ელენე თევდორაძემ განაცხადა და რომელიც გლდანის ციხის საქმეს სწავლობდა, პატიმრები და მათი ნათესავები არასოდეს ჩიოდნენ მასთან ვლადიმერ ბედუკაძეზე. და დაუმატა: „ყველა ამბობდა, რომ ის იყო ერთადერთი, ვინც მათ ადამიანურად ეპყრობოდა“.

Коммерсантъ

◎ არმია

თავდაცვაში „თავები დაგორდება“

ძართველი სამხედროების კვების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი თანამდებობიდან განთავისუფლებულია. მიმდინარეობს გამოძიება. მოკვლევის დასრულების შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტული პირების პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ეს გადაწყვეტილება თავდაცვის მინისტრმა ქუთაისში, 11 სამხედრო მოსამსახურის მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით მიიღო. 11 სამხედროს ამოწმებენ, რათა დადგინდეს, რამ გამოიწვია მათი მოწამვლა.

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევას ფართომასშტაბიანი ხასიათი არ მიუღია, მან მიიღო გადაწყვეტილება და თანამდებობიდან გადაყენებულია პირი, რომელიც ჩვენი სამხედროების კვების უსაფრთხოებაზე იყო პასუხისმგებელი. ირაკლი ალასანიას განცხადებით, ასევე იგეგმება სამხედროების კვების მენეჯმენტის მთლიანად შეცვლა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ქართული ჯარის კვების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ოთხი ტენდერი შეწყდა. უწყების ინფორმაციით, 2013 წლის თებერვალში საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფაზე, რეგიონული პრინციპის მიხედვით, 4 ტენდერი გამოაცხადა. 2013 წლის 11 ივნისს გამართულ სატენდერო კომისიის სხდომაზე წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დასკვნა, სამხედრო მოსამსახურეთა კვებითი უზრუნველყოფის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ 2013 წლის 1 მაისიდან სამხედრო მოსამსახურეები არანორმირებულიდან ნორმირებული კვების რეჟიმზე გადავიდნენ.

გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა სამხედრო მოსამსახურეების გამოკითხვით დაადგინეს, რომ ისინი გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ნორმირებული კვების რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მთავარ ღირებულებას ჯარისკაცი წარმოადგენს, ამიტომ სამინისტროს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაეთვალისწინებინა სამხედრო მოსამსახურეთა სურვილი, სისტემაში აღედგინა არანორმირებული კვება და ამით მოესპო ის მცირედი დისკომფორტიც კი, რაც შესაძლებელია, ეგრძნოთ სამხედრო მოსამსახურეებს.

ნორმირებულ კვებაზე გადასვლა, თავის მხრივ, სატენდერო დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას იწვევს, ამიტომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, თავდაცვის სამინისტროს სატენდერო კომისია იძულებული გახდა, შეეწყვიტა კვებით უზრუნველყოფის ტენდერები.

თავდაცვის სამინისტრო იმედს იტოვებს, რომ ტენდერებში მონაწილე კომპანიებისათვის ზემოაღნიშნული არგუმენტები მისაღები და წონადი იქნება.

ირაკლი ალასანიას განცხადებით, შეცვლილია შეიარაღებული ძალების კვებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები. მისივე თქმით, უნდა იყოს არანორმირებული კვება. რადგანაც, სხვადასხვა პროცესის შედეგად აღმოჩნდა, რომ ნორმირებულ კვებაზე გადასვლა არ არის მიზანშეწონილი. ამიტომ, მისივე განცხადებით, მთლიანად შეიცვლება მიდგომა ქართული ჯარის კვების მიმართ. რაც შეეხება იმას, რამდენადაა შესაძლებელი აღნიშნულთან დაკავშირებით ახალი ტენდერი გამოცხადდეს, ალასანიას თქმით, ტენდერი შეიძლება მოგვიანებით ჩატარდეს.

უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი თეონა აქუბარდია for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ ის, რაც მოხდა, ხაზს უსვამს თებერვლიდან დღემდე ჩატარებულ სამუშაოებს.

„ჩვენ არასამთავრობო ორგანიზაცია, ადამიანები ვისაც ჰქონდა სურვილი, დავესწარით რამდენიმე სატენდერო კომისიის სხდომას. პროცესი მიდიოდა არასამთავრობო ორგანიზაციების თანხლებით, მაგრამ შემდეგ, გაურკვეველი მიზეზების გამო, მოიწამლა 11 ჯარისკაცი. მინისტრმა შეცვალა მენეჯმენტი და განაცხადა, რომ გენერალურმა ინსპექციამ ახლახან დაადგინა, რომ თურმე არანორმირებული კვება უნდათ ჯარისაკცებს, ნორმირებული კვება არ უნდათ და ამიტომ შეჩერდა მთელი ტენდერებიო. იქიდან გამომდინარე, რომ ეს პროცესი აქამდე მიმდინარეობდა საზოგადოებისთვის გამჭვირვალედ, ძალიან კარგი იქნება ახსნან, რა არის არანორმირებული კვება და რა არის ნორმირებული კვება,“ — აცხადებს თეონა აქუბარდია.

სამხედრო ექსპერტი აკია ბარბაქაძე ამბობს, რომ ლოჯისტიკა აქილევსის ქუსლია ქართული შეიარაღებული ძალებისთვის. მისივე განცხადებით, შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში დაშვებული შეცდომა: აქცენტი კეთდებოდა საბრძოლო ოფიცრებზე, ხოლო ლოჯისტიკა ითვლებოდა მესამე ხარისხოვან თემად შეიარაღებულ ძალებში.

„შეიარაღებული ძალების წარმატების 80% დამოკიდებულია ლოჯისტიკის დეპარტამენტზე. რაც შეეხება კვების ბლოკს — აუცილებლად სისტემურად არის ეს საკითხი შესასწავლი. მაქსიმალურად უნდა გაკონტროლდეს მექანიზმები ხარისხის ვარგისიანობაზე. უნდა წარმოებდეს ჟურნალები და ამაზე უნდა აწერდნენ ხელს ყოველდღიურად, მენიუს შედგენისა და დამტკიცებისას, რამდენად სრულდება ქაღალდზე დაწერილი მენიუ რეალურად და რამდენად არის შესაბამისობაში.

ეს ყველაფერი უნდა გაიწეროს წესდებაში, ადრე მაშინ ეს პროცესი გაწერილი იყო. არ ვიცი, რა ხდება ახლა. ეს ყველაფერი ახალაიას მუშტზე იყო აწყობილი და ტერორის ქვეშ მიმდინარეობდა. მაგრამ, რეალური ბერკეტები ჯარში არ არსებობდა, მოშლილი იყო ყველაფერი. როცა მკაცრი მუშტი მოიშალა და აღარ არსებობს ასეთი ზეწოლა და ტერორი, ბუნებრივია, რომ ეს სისტემური პრობლემა ასეთი კუთხით წარმოჩინდა,“ — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას აკია ბარბაქაძემ.

სამხედრო ექსპერტის ვახტანგ მაისაიას განმარტებით, ქვეყნის „ნატოში“ ინტეგრაციის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ლოჯისტიკის დეპარტამენტის გამართულად მუშაობა.

„ეს არის არასაბრძოლო ტიპის მიმართულება, აქ არაფერი არაა საიდუმლო, პირიქით საზოგადოების დონეზე უნდა მოხდეს ამ საკითხის მოგვარება. აქ უნდა ჩაერთონ სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და აქტიური როლი ითამაშონ ამ პრობლემის მოგვარებაში“ — აცხადებს ვახტანგ მაისაია.

თამთა ქარჩავა

დედამიწის ზურგზე

ერთი შვიდის წინააღმდეგ: პუტინი პირველად აღმოჩნდება საყოველთაო ოპოზიციაში „დიდი რვიანის“ სამიტზე

რუსეთის ლიდერი გადაეყრება სირიის პრობლემისადმი თავისი მიდგომის ერთდროულ გაუგებრობას, მას პირველად საპრეზიდენტო კარიერაში მოუწევს გამოვიდეს ფორუმის დანარჩენი მონაწილის ოპონენტად და ამიტომ ფსიქოლოგიურად უნდა განეწყოს ამისთვის, ურჩევენ პოლიტოლოგები. შესაძლებელია, იოლი არ იქნება კერძო შეხვედრაც ობამასთან — გზავნილების გაცვლამ ერთი თვის განმავლობაში უკვე გამოავლინა სერიოზული სხვაობა შეხედულებებში.

* * *

თურქეთში ახალი შეტაკებებია გაზითა და წყალმფრძვევებით პოლიციასა და მოპროტესტეებს შორის: ასობით დაკარგულს შორის არის რუსეთელიც

სტამბოლში წინა დღით პოლიციამ ანტისამთავრობო უწესრიგობის 441 მონაწილე დააკავა. წესრიგის მცველები მკაცრად არბევდნენ ათასობით დემონსტრანტს, რომლებიც გვერდითი ქუჩებიდან ცდილობდნენ ტაკსიმის მოედანში შეჭრას. ანკარაში დააპატიმრეს 105 კაცი, რომლებიც მომიტინგეებს უჭერდნენ მხარს გეზის პარკში.

* * *

სირიაში ომის მსხვერპლი ასი ათასი კაცი გახდა, გამოაცხადა წითელმა ჯვარმა

სირიაში სამოქალაქო ომის ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაჭრილთა რაოდენობის აღრიცხვა შეუძლებელია. ათასობით ადამიანი დაიკარგა უგზო-უკვლოდ, ათასობით დაპატიმრებულია, განაცხადეს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტში. ამას გარდა, მისი მონაცემებით, დაახლოებით ხუთი მილიონი სირიელი ლტოლვილია.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სატენდერო მოწვევა

საქართველო
მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტი (SLRP II) (P122204)
სატენდერო მოწვევა №SLRP II/CW/NCB-13

საავტომობილო გზის „ნოქალაქევი-დიდი ჭყონის“ კმ 12+800 - კმ 13+120 და კმ 15+480 - კმ 15+640 მონაკვეთებზე მდინარე ტეხურის ნაპირებთან განვითარებული ეროდირებული გზის ვაკისის რეაბილიტაცია

1. საქართველომ მიიღო მსოფლიო ბანკის დაფინანსება შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტისთვის (SLRP II). აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება საავტომობილო გზის “ნოქალაქევი-დიდი ჭყონის” კმ 12+800 - კმ 13+120 და კმ 15+480 - კმ 15+640 მონაკვეთებზე მდინარე ტეხურის ნაპირებთან განვითარებული ეროდირებული გზის ვაკისის სარეაბილიტაციო სამუშაოების ასანაზღაურებლად.

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს, რათა წინასწარი და მიწის სამუშოების განსახორციელებლად და საფარის, ხელოვნური ნაგებობების, მილერთებების, გზაჯვარედინებისა და გზის კუთვნილება-მოწყობილობების სარეაბილიტაციოდ დალუქული კონვერტებით წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პერიოდია **6 თვე.**

3. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს **1,676,307 ლარს** ყველა სახის გადასახადის და სახელმწიფო მოსაკრებელის ჩათვლით, როგორც ეს წარმოდგენილია ინსტრუქციის 14.7 ქვეთავში. თუმცა, ტენდერში მონაწილის პასუხისმგებლობაა წარმოდგენილი სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს წინასწარ ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და აგრეთვე გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების ღირებულებაზე.

4. სამუშოების შესყიდვა ჩატარდება ეროვნული ტენდერის (NCB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - “მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი)” და სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად ღიაა მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერი პრეტენდენტისთვის.

5. დაინტერესებული, ტენდერში მონაწილეობის უფლების მქონე პრეტენდენტები დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და სატენდერო დოკუმენტების გასაცნობად უნდა დაუკავშირდნენ საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსს ბ-ნ ილია მესხიშვილს ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10 საათიდან 17 საათამდე.

6. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში საშუალო წლიური სამშენებლო ბრუნვა მინიმუმ 2,500,000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით;

ბ. ძირითადი კონტრაქტორის სამშენებლო გამოცდილება უნდა მოიცავდეს უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში ერთ-ერთ ობიექტზე ანალოგიური ხასიათისა და სირთულის სამუშოებს (სამუშოთა მინიმუმ 80% დასრულებული უნდა იყოს) ღირებულებით არა ნაკლებ 1,300,000 (ერთი მილიონ სამასი ათასი) ლარის ოდენობით;

გ. არანაკლებ 3,000 მ2 საფარის სარეაბილიტაციო სამუშოების შესრულება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მინიმუმ 1 კონტრაქტის ფარგლებში;

დ. ცნობა, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული სასამართლო პროცესში და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრება, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ე. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო საშუალებების, სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების, გარდა ავანსისა, ხელმისაწვდომობის დასტური მინიმუმ 420,000 (ოთხას ოცი ათასი) ლარის ან მისი ექვივალენტის ოდენობით.

ვ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში: ნაწილი III – შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, პარაგრაფი 1.6.

7. დაინტერესებულ პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტების მთლიანი პაკეტის ინგლისურ ენაზე შეძენა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მიმართვის და არაანაზღაურებადი 200 ლარის ან მისი ექვივალენტის აშშ. დოლარში გადახდის შემდეგ. გადახდის ფორმაა პირდაპირი გადარიცხვა ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

ეროვნულ ვალუტაში გადახდისთვის:
მიმღები: ხაზინის ანგარიში
ხაზინის ანგარიშის №200 122 900
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ბანკის ძველი კოდი (220 101 222)
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 302 007 800
სავალუტე ანგარიშის №001 189 362

აშშ. დოლარში გადახდისთვის:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
მიმღები აგენტი:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
ბენეფიციარი ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, თბილისი
SWIFT CODE: BNLNGE22
ბენეფიციარი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი)
IBAN: GE65NB0331100001150207

გადასახადის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის (მითითებული იქნას ს/გზის მონაკვეთის დასახელება).

მოთხოვნის შემთხვევაში, პრეტენდენტებს საკუთარი ხარჯებით კურიერული ფოსტით გაეგზავნებათ დოკუმენტაცია.

8. სატენდერო წინადადებები მოწოდებული უნდა იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2013 წლის 18 ივლისის 17:00 საათისა ადგილობრივი დროით. წინადადებები ელექტრონული ფორმატით არ მიიღება. დაგვიანებით შემოსული სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. წინადადებები გაიხსნება პრეტენტენტების იმ წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პირადად დაესწრონ ტენდერს 2013 წლის 18 ივლისის 17:00 სთ-ზე ადგილობრივი დროით.

9. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის დეკლარაცია ძალაში უნდა იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადის გასვლის დღიდან 28 დღის განმავლობაში (ანუ 90 დღე+28 დღე=118 დღე). ერთობლივი საწარმოს მიერ სატენდერო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი ყურადღებით უნდა გაეცნოს ინსტრუქციის 19.8 პუნქტს, რადგან ხსენებულ პუნქტთან შეუსაბამობა შესაძლოა სატენდერო წინადადების უარყოფის საფუძველი გახდეს.

10. დამკვეთის მისამართი, სადაც წარმოდგენილ უნდა იქნას სატენდერო წინადადებები:

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის გამზირი №12, 0160 თბილისი, საქართველო
შესყიდვების სამმართველო, IV სართული, ოთახი 402
ბ-ნი ილია მესხიშვილი, შესყიდვების ორგანიზების განყოფილების უფროსი
ტელ: + (995 32) 37-05-08 დამ.255
ფაქსი: + (995 32) 31-30-34
ე-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

INVITATION FOR BIDS

Georgia
Second Secondary and Local Roads Project (SLRP II) (P122204)
Bid Invitation No: SLRP II/CW/NCB-13

Rehabilitation of the Tekhuri Riverbank Wash-outs (Road Embankment Failures) Developed at km12+800 - km13+120 and at km15+480-km15+640 Road Sections of the Noqalakevi - Didi Chkoni Road

1. Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the Second Secondary and Local Road Project (SLRP II) and intends to apply part of the proceeds to eligible payments for contract for “Rehabilitation of the Tekhuri Riverbank Wash-outs (Road Embankment Failures) Developed at km12+800 - km13+120 and at km15+480-km15+640 Road Sections of the Noqalakevi - Didi Chkoni Road”.

2. The project implementing agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible bidders to submit their bids in sealed envelopes for execution of preliminary and soil works and rehabilitation of pavement. Implementation period for execution of construction works is 6 months.

3. The estimated cost of proposed works is **GEL 1,676,307**, including all taxes, duties and other governmental levies as elaborated under clause ITB - 14.7. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed works.

4. Procurement of works will be conducted through the procedures of National Competitive Bidding as specified in the World Bank’s Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers (January, 2011) and is open to all eligible bidders as defined in the guidelines.

5. Interested eligible bidders who wish to receive any additional information and inspect the bidding documentation should contact Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit of the Roads Department of Georgia at the address below during 10:00 A.M till 17:00 P.M.

6. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. Average annual construction turnover of at least 2,500,000 GEL (Two Million Five Hundred Thousand Georgian Laris) or equivalent over the last 3 (three) years;

b. experience as prime contractor in the construction of at least one work of a nature and complexity equivalent to the works over the last 5 (five) years (at least 80 % of works should be complete) with a value of at least 1,300,000 GEL (One Million Three Hundred Thousand Georgian Laris);

c. At least 3,000 m^3 of river protection works executed in any one year during the last five (5) years.

d. the evidence that the bidder is not involved in any litigation with regard to its bankruptcy, reorganization or liquidation;

e. Liquid assets and/or credit facilities, net of other contractual commitments and exclusive of any advance payments which may be made under the Contract, of no less than 420,000 GEL (Four Hundred Twenty Thousand Georgian Laris) or equivalent.

f. Additional qualification criteria are applicable as indicated in the Bidding Document: Section III – Evaluation and qualification criteria, item 1.6.

7. A complete set of bidding documentation in English language may be purchased by interested applicants on the submission of a written application to the address below and upon payment of a nonrefundable fee of 200 Georgian Lari or equivalent in USD. The method of payment will be by the direct deposit to the following account:

For GEL transfer:
Name of the recipient: Treasury Account
Treasury account No. 200 122 900
Recipient Bank: State Treasury
Bank Code: TRESGE22
Old Code of the Bank (220 101 222)
Budget Income Treasure Code: 302 007 800
International Currency: No 001 189 362

For USD transfer
Intermediary:
FEDERAL RESERVE BANK OF NEW YORK, USA
SWIFT CODE: FRNYUS33
Receiving agent:
ACC.NO: 0D
BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS (BIS), BASLE (USD)
SWIFT CODE: BISBCHBB
Beneficiary’s bank: NATIONAL BANK OF GEORGIA, TBILISI
SWIFT CODE: BNLNGE22
Beneficiary: (Roads Department of the Ministry of Regional Development of Georgia)
IBAN: GE65NB0331100001150207

Payment Designation: Tender fee for the Roads Department (Insert road section name)

If requested, the documents will be sent by courier service at the applicant’s expense.

8. The Bids should be delivered at the address below not later than **18 July, 2013, 17:00** Hours local time. Electronic versions of the bids are not acceptable. Late bids will not be accepted. The bids will be opened in the presence of the bidders’ representatives who choose to attend bid opening on, **18 July, 2013, 17:00** Hours local time.

9. All bids should be submitted together with the Bid Security Declaration. Bid Security Declaration shall be valid for 28 days beyond the validity of the Bid (i.e., 90 days+28 days = 118 days). For bids submitted by a JV bidder shall carefully read ITB 19.8 as failure to comply with this ITB may be grounds for bid rejection.

10. The Employer’s address for the purpose of Bid submission is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Procurement Department, IV Floor
Mr. Ilia Meskhishvili, Head of Procurement Organization Unit
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08 ext.305
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: i info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ გუშინ

სასიკეთო საქმეებისთვის შვიდი თვეც საკმარისია

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა ბოლო 7 თვის მანძილზე სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში წარადგინა.

როგორც ყიფიანმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ ხნის პერიოდში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. მისი თქმით, განხორციელდა სპორტული ფედერაციებისა და ახალგაზრდული ორგანიზაციების საქმიანობაში ჩაურევლობის პოლიტიკა, რაც მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო.

ამასთან, როგორც ყიფიანი განმარტავს, მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაუქმებული სპორტის აკადემიის ბაზაზე დაფუძნდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

„ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრში 500 სპორტსმენისთვის ამოქმედდა 5 უფასო სპორტული სექცია. ეს სექციებია: ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კრივი და ძალოსნობა. ჩვენ სამინისტროში ჩამოვაყალიბეთ ინფრასტრუქტურის მონიტორინგის სამსახური, რის შედეგადაც საქართველოს მასშტაბით მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით შესწავლილი იქნა 243 სპორტული ობიექტი, ასევე სპორტის 45 სახეობაში დაფინანსდა 57 სასწავლო საწვრთნელი შენობა, 40 ადგილობრივი და 83 საერთაშორისო სპორტული შეჯიბრი, მათ შორის 12 ევროპის და ორი მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 216 მედალი, აქედან 72 ოქრო, 58 - ვერცხლი და 86-ბრინჯაო. ბოლო 7 თვის განმავლობაში, ახალგაზრდული პროექტების განხორციელების შედეგად, სამინისტროს საქმიანობის პირდაპირი ბენეფიციარი გახდა 25 400 ახალგაზრდა და მნიშვნელოვანია ისიც, რომ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით“, — განაცხადა ლევან ყიფიანმა.

მინისტრი ჟურნალისტებს მთავრობის მიერ დაწყებული პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში შეხვდა. როგორც ყიფიანმა აღნიშნა, მისი სამინისტრო გამოირჩევა მედიასთან გახსნილობით, რაც მომავალშიც გაგრძელდება.

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

12 რჩეული — დილიჟანში

ფიდეს გადაწყვეტილებით, წლეულს მესამედ იმართება მოჭადრაკე ქალთა გრან პრი, რომელშიც პლანეტის 18 უძლიერესი დიდოსტატი იბრძვის საუკეთესოს სახელისა და მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად. საქმე ის არის, რომ გრან პრის ორწლიანი შედეგით პირველ ადგილზე გასული მოჭადრაკე დაფნის გვირგვინისთვის შეხვდება ტიტულის მფლობელს.

პირველ ეტაპს ჟენევამ უმასპინძლა. იქ პირველი ადგილი და 160 ქულა ბელა ხოტენაშვილმა დაისაკუთრა. ნანა ძაგნიძემ მესამე-მეოთხე ადგილები გაინაწილა (თითოეულმა მოჭადრაკემ ოთხ ტურნირში უნდა ითამაშოს და სამი საუკეთესო შედეგი საერთო ჩათვლაში შევა). მეორე რაუნდს სომხური დილიჟანი მასპინძლობს. იქ უკვე გაიმართა პირველი ტურის პარტიები:

2008 წლის მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ჩემპიონმა ნანა ძაგნიძემ (2550) მონგოლი თუვშინთუგს ბათჩიმეგი (2316) დაამარცხა. **ბელა** ხოტენაშვილს (2531) ორგზის ევროპის ჩემპიონმა რუსმა ტატიანა კოსინცევამ (2526) აჯობა. დანარჩენი ოთხი პარტია ყაიმით დასრულდა. დაზავდნენ მსოფლიოს ჩემპიონი ანა უშენინა (უკრაინა, 2499) — ანა მუზიჩუკი (სლოვენია, 2593), ელინა დანიელიანი (სომხეთი, 2475) — მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი, 2531), ოლგა გირია (რუსეთი, 2436) — ევროპის ჩემპიონი ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2511) და ინდოელები — ჰარიკა დრონავალი (2492) — მსოფლიოს ჩემპიონატების ვერცხლისა და ბრინჯაოს მფლობელი ჰამფი კონერუ (2597).

ტურნირზე 20 და 25 ივნისი დასვენების დღეებია.

გივი გაგუა

◎ რაგბი

თბილისის თასი აფრიკელებმა მოიპოვეს



საქართველო-სამხრეთ აფრიკა 16:21

ლელო: ჩილაჩავა; **3 საჯარიმო:** წიკლაური; **გარდასახვა:** წიკლაური.

ალბათ, მოულოდნელი არ ყოფილა, რომ მორაგბეთა „თბილისის თასის“ პირველი გათამაშება სამხრეთ აფრიკის საპრეზიდენტო ნაკრებმა მოიგო. წარმატებისთვის ბოლო ტურის მატჩში ამ გუნდს საქართველოს ნაკრებთან ერთი საპრემიო ქულაც ხელს აძლევდა. სამხრეთაფრიკელთა საბოლოო გამარჯვების შანსი იმანაც გაზარდა, რომ მეორე ტურის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების წამყვანი მოთამაშეები — დავით ზირაქაშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი, გიორგი ჩხაიძე, შალვა სუთიაშვილი, გიორგი ბეგაძე, ვასილ კაკოვინი, ჯაბა ბრეგვაძე და ლევან დათუნაშვილი არგენტინაში გაემგზავრნენ, სადაც „ბორჯღალოსნებს“ სამხრეთამერიკელებთან ტესტმატჩის გამართვა მოუწევთ. ოკეანის გაღმა გამგზავრებულთა გარდა, ტრავმების გამო მასპინძლებს კაპიტანი ირაკლი მაჩხანელი, მგეზავი ლაშა ხმალაძე და შუამარბი თედო ზიბზიბაძეც დააკლდათ. ყოველივეს მიუხედავად, მილტონ ჰეიგის შეგირდებს ცუდად არ უასპარეზიათ. მატჩი სტუმრების იერიშებით დაიწყო და ორი ზუსტი საჯარიმო დარტყმის შემდეგ ისინი 6:0 დაწინაურდნენ, თუმცა პირველი ტაიმის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე ქართველი მორაგბეები შეხვედრას 13:9-ს იგებდნენ. დროის ამ მცირე მონაკვეთში სამხრეთაფრიკელებმა ლელო გაგვიტანეს და გარდასახვაც ზუსტად შეასრულეს — 16:13. შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა წიკლაურის უნაკლო საჯარიმოთი ისევ აღადგინა წონასწორობა — 16:16, მაგრამ საფინალო სასტვენამდე ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო და 16:21 დამარცხდა. ჩვენი გუნდის წევრები დაჯილდოების ცერემონიალს არც დასწრებიან, რადგან „ავჭალის სარაგბო სტადიონიდან“ პირდაპირ აეროპორტში გაემგზავრნენ და გეზი არგენტინისკენ აიღეს.

ურუგვაი-ირლანდია 33:42.

საბოლოო სატურნირო მდგომარეობა:

სამხრეთ აფრიკა — 13, ირლანდია — 9, საქართველო — 6, ურუგვაი — 1 ქულა.

ლექსო ცინცაძე

◎ წყალბურთი

საჩხერელი ჩემპიონები

დამთავრდა 2000 წელს და უფრო გვიან დაბადებულ წყალბურთელთა საქართველოს პირველობა, რომელშიც შესანიშნავად იასპარეზა საჩხერის გუნდმა (ნიკა სადუნიშვილი, გიორგი სადუნიშვილი, ტატო ქავთარაძე, თორნიკე ხვინგია, დათა შუბითიძე, კახა სამყურაშვილი, ნიკა სამყურაშვილი, ნიკა მესხი, მიხეილ არჯევანიძე, ოთარ ივანაშვილი, გია მაჭავარიანი, ლუკა ნადირაძე, ირაკლი გაბაძე, აკაკი შუკაკიძე და ნიკა ლაბაძე, მწვრთნელები — მამუკა ტყაბლაძე და კახა ვალიშვილი): ჯგუფური პაექრობების შემდეგ საჩხერელებმა ნახევარფინალში ბათუმელებს მოუგეს — 6:4, გადამწყვეტ პაექრობაში კი „ქუთაისს“ აჯობეს 12:3 და ჩემპიონობა მოიპოვეს. მესამე ადგილზე თბილისის „ივერია“ გავიდა, რომელმაც ზღვისპირელები დაამარცხა — 7:6.

ვაჟა ნოსირელი

სურათზე: საქართველოს ჩემპიონი საჩხერის გუნდი.

◎ ფარიკაობა

ზაგრებში ქართული ხმალიც იელვებს

წლეულს მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს ხორვატიული ზაგრები მასპინძლობს. შეჯიბრებაში საქართველოს სპორტულ ღირსებას მოხმალავე ვაჟები — ახალგაზრდებში 2013 წლის ევროპის ჩემპიონი სანდრო ბაზაძე, 23-წლამდელებში შარშანდელი ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი ბექა ბაზაძე და კადეტებში 2010 წლის მსოფლიოს პირველობის მესამეადგილოსანი მიხეილ მარდალეიშვილი (მწვრთნელი მერაბ ბაზაძე) დაიცავენ. 19 ივნისს ქართველი მუშკეტერები ინდივიდუალურ პირველობაში იასპარეზებენ, 21-ში კი გუნდური მედლებისთვის მოსინჯავენ ძალებს.

ნატა ნიბლაძე

სურათზე: მარცხნიდან — ბექა ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი და სანდრო ბაზაძე.

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ ტაგლო

ევროპის ჩემპიონატი

კალათბურთი

თურქეთის ჩემპიონატის ფინალური სერია. მეხუთე მატჩი: „გალათასარაი“ — „ბანვითსფორი“ 76:58 (სერიის ანგარიში 4:1). **მანუჩარ მარკოიშვილის** პირადი მონაგარი 20 წუთში: 7 ქულა, 2 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა. შეგახსენებთ, რომ აქამდე საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი იტალიურ, უკრაინულ და სლოვენიურ „ოქროსაც“ ფლობდა.

ფეხბურთი

ბრაზილია. კონფედერაციათა თასის ჯგუფური ეტაპი. I ტური. ბრაზილია — იაპონია 3:0, იტალია — მექსიკა 2:1, ესპანეთი — ურუგვაი 2:1.

◎ ქართული ჭიდაობა

მუხრანში, ახალ სარბიელზე

ქართული ჭიდაობის ფედერაციისა (პრეზიდენტი გელა ბერუაშვილი) და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ ერთობლივი პროექტით წლეულს ქართული ჭიდაობისთვის 18 არენის აგება და კეთილმოწყობაა დაგეგმილი. ამას წინათ მეტეხელებმა (კასპი) იზეიმეს ნახერხმოყრილი საჭიდაოს გახსნა, ხოლო გასულ უქმეებზე მუხრანელებს (მცხეთა) ჰქონდათ ზეიმი. მათი არენა გადახურულია და 500-მდე მაყურებელს იტევს. აქ ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის ქართულ ჭიდაობაში. საასპარეზოდ თავი მოიყარეს წონების მიხედვით რეგიონული პირველობების მედალოსნებმა. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

55 კგ. ლევან ბერბერაშვილი (თიანეთი).
60 კგ. გოდერძი ფეტვიაშვილი (ახმეტა).
65 კგ. ზაზა სიმონიშვილი (ქარელი).
70 კგ. ანდრო ბერუაშვილი (სამაჩაბლო).
75 კგ. ალექსანდრე ნანიევი (ლაგოდეხი).
80 კგ. ჯაბა ბიწაძე (ლაგოდეხი).
90 კგ. დათო ხუციშვილი (ქარელი).
მძიმე: გიგა თაყაძე (გორი).

ლაშა დიდია

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დამშვიდობება დიდ ხელოვანთან

გიგა ლორთქიფანიძე



„დაცარიელდა დიდი სახლი კადმოსიანთა“, ამბობს ქორევტი გიგა ლორთქიფანიძის მიერ დადგმულ სპექტაკლ „ოიდიპოს მეფეში“, მას შემდეგ, რაც ოიდიპოსი მარადიულ სიბნელეს შეუერთდება...

...თანდათან ცარიელდება ქართული თეატრის დიდი სახლიც – ჩვენგან მიდიან რჩეული ოსტატები, თეატრალური სკოლებისა და მიმდინარეობების შემქმნელნი. დღეიდან გამოჩენილ ქართველ ხელოვანთა პანთეონს შეუერთდება გიგა ლორთქიფანიძეც – იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული რეჟისორი, შეუპოვარი პატრიოტი და მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, რეჟისორთა და მსახიობთა მთელი თაობების აღმზრდელი, აღსავსე ნიჭით, იუმორით, ტემპერამენტით, ბუნებისგან დაჯილდოებული იშვიათი მომხიბვლელობით, ნამდვილი ლიდერი, შემკრები, გამაერთიანებელი თანამოაზრეებისა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გ. ლორთქიფანიძემ ქართულ თეატრში და კინემატოგრაფში მთელი ეპოქა შექმნა. იგი იყო კლასიკური ტიპის რეჟისორი, ყოველთვის დრამატული ნაწარმოების სიღრმეს სწვდებოდა, არ მიელტვოდა ეფექტურ და, არსებითად, ეფემერულ თეატრალურ ხერხებს. ამიტომაც მისი სპექტაკლები და კინოფილმები აღბეჭდილია სრულყოფილებით, დრამატულ ნაწარმოებთა არსში ღრმა წვდომით, ავტორის სტილისა და იდეების ერთგულებით და მსახიობთა შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულყოფილი რეალიზაციით. იგი ფლობდა რეჟისორული ხელოვნების ყველა საიდუმლოს. მისი არსენალი უაღრესად მდიდარი იყო ამ თვალსაზრისით, მაგრამ მაინც, მის შემოქმედებაში წინა პლანზე ყოველთვის იდგა ავტორი და მსახიობი, ამავე დროს, გ. ლორთქიფანიძე უაღრესად ქართული მენტალიტეტის რეჟისორი იყო. მისი რეჟისურა ამოზრდილი იყო ეროვნული კულტურის, ისტორიის, წარუვალი ტრადიციების, ხალხური ზეპირსიტყვიერების თუ ხუროთმოძღვრების, პოლიფონიური სიმღერებისა თუ საგალობლების ღრმად შეთვისებული და გააზრებული სამყაროდან. მისი თეატრალური ესთეტიკა შეიცავდა ევროპული და რუსული თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს და უახლეს მიღწევებსაც, მაგრამ მაინც, უპირველესი და განმსაზღვრელი იყო და რჩებოდა, მისი ეროვნული ცნობიერება, რომელიც ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი ესთეტიკური მოძღვრებანი.

იგი ცხოვრობდა თავისი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებით. სეისმოგრაფის სიზუსტით გრძნობდა მის პრობლემებს, სატკივარსა თუ სიხარულს. ამის გამო ბევრი უსამართლო კრიტიკაც შეხვედრია როგორც კომუნისტური იდეოლოგიის მესვეურთაგან, ისე ახლად მოვლენილი კერპებისაგან.

ახალგაზრდობიდანვე შეუდგა იგი თავისი მისიის შესრულებას. ჯერ კიდევ მოსკოვის ლუნაჩარსკის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, როცა სტუდენტთა წრეებში თუ სხვადასხვა კულტურის სახლებში და კლუბებში დგამდა სპექტაკლებს და დიდი პოპულარობაც მოიპოვა პროგრესულად განწყობილ მოსკოველ ახალგაზრდებში...

ნამდვილად იშვიათია რეჟისორი, რომელსაც უმუშავია იმდენ თეატრში (როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში), როგორც გ. ლორთქიფანიძეს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, მან რეჟისორობა დაიწყო (1950-51) ვილნიუსის რუსულ დრამატულ თეატრში. აქედან მოყოლებული ფართოდ იშლება, დიდ სივრცეებს მოიცავს გ. ლორთქიფანიძის რეჟისურა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1952-54, 1957-63, 1965-67 და 1976-1980 წლებში იგი მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელია, 1954-1956 წლებში – ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის მთავარი რეჟისორი, 1963-1965 წლებში გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, 1967-76 წლებში რუსთაველის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1987-2004 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს 1985-2009 წლებში იყო საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, 1999-2005 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი, 2009-2010 წლებში მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1991-99 წლებში საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, სადაც თავი გამოიჩინა თავისი მწვავე კრიტიკული და პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი გამოსვლებით და ქართული კულტურისა და ხელოვნების წინაშე წამოჭრილი მწვავე პრობლემების გადაჭრისაკენ მოწოდებით. ამას თუ დავუმატებთ მოსკოვისა და მოკავშირე რესპუბლიკების დრამატულ და საოპერო თეატრებში მის მიერ განხორციელებულ დადგმებს, ქართულ კინემატოგრაფში შეტანილ მის უდიდეს ღვაწლს – საერთო სურათი, ასე თუ ისე, შეივსება.

თავის შედევრებში – ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, საბრალდებო დასკვნა“ – მან გვიჩვენა უბრალო ადამიანები, ცოცხალი თანამედროვენი, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით, ტკივილებით, სევდით, იუმორით, ოცნებებით. ორიგინალური სცენური ინტერპრეტაციების წყალობით სცენაზე იკვეთებოდა კარგად ნაცნობი სამყაროს აქამდე უცნობი სურათები. 60-იანი წლების ქართული თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა პოლიკარპე კაკაბაძის ტრაგიკომედია „კახაბრის ხმლის“ დადგმა (1965).

გ. ლორთქიფანიძის ისტორიული დამსახურება იყო ახალი თეატრის შექმნა ქ. რუსთავში, 1967 წლის 30 ნოემბერს, თავის პირველ პრემიერად თეატრმა წარმოადგინა ა. როსტინის ჰეროიკული კომედია „სირანო დე ბერჟერაკი“, რომელიც თეატრის ერთგვარ მანიფესტად იქცა.

1978 წელს მარჯანიშვილის თეატრში გ. ლორთქიფანიძის მიერ დადგმული „ოიდიპოს მეფეში“ რეჟისურა მკაცრად იყო კონცენტრირებული ოიდიპოსის ტრაგიკული სიცოცხლის ყველა უმთავრესი პერიპეტიის გამოვლენისთვის.

გ. ლორთქიფანიძის უაღრესად მნიშვნელოვან ფილმოგრაფიას აგვირგვინებს მისი მრავალსერიანი შედევრი, XX ს-ის საუკეთესო ტელეფილმად აღიარებული „დათა თუთაშხია“ (რეჟ. გ. გაბისკირიასთან ერთად), სადაც მთელი სისავსით გამოჩნდა ქართველი ადამიანის სიბრძნე, ზნეობრივი სიმაღლე და მისი ტოლერანტური ბუნება.

გ. ლორთქიფენიძე მრავალი შესანიშნავი მუსიკალური სპექტაკლის ავტორიც იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ დადგმული ვერდის „აიდა“ (ბათუმის საოპერო თეატრში), მიუზიკლები: „მევილიონე სახურავზე“ (მუსკომედიის თეატრი), „ლამანჩელი“ (რუსთავის დრამატული თეატრი და ა. ახმეტელის თეატრი).

თბილისის საპატიო მოქალაქის (1996) გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დიდად იყო დაფასებული, იგი გახლდათ საქართველოს (1971) და სსკრ-ს (1979) სახალხო არტისტი, სახელმწიფო, რუსთაველისა (1985) და სსრკ სახელმწიფო (1978) პრემიების ლაურეატი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მისი დიდი შემოქმედება სამარადჟამოდ შევიდა ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

საქართველოს კულტურის ფონდი სინანულითა და გულისტკივილით აღნიშნავს სახელოვანი რეჟისორის –

გიგა ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. საქართველომ დაკარგა დიდბუნებოვანი ადამიანი და ხელოვანი. საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი უსამძიმრებს მეუღლეს ქალბატონ ქეთინოს, მის დიდ ოჯახს და მის დას, ჩვენი პრეზიდიუმის წევრს ქალბატონ მარიამს, რომელმაც დაკარგა უძვირფასესი ძმა.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი

დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა თეატრმა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი რეჟისორი

გიგა ლორთქიფანიძე.

რუსთაველის თეატრის მთელი კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

იაშვილის კლინიკაში თურქების გამო გაიფიცნენ

იაშვილის კლინიკის სანიტარიული სამსახურის 80-მა თანამშრომელმა გუშინ გაფიცვა გამოაცხადა. სანიტრები იაშვილის კლინიკის ეზოში შეიკრიბნენ და კლინიკაში დასუფთავების ახალი სამსახურის შესვლას აპროტესტებენ.

ისინი აცხადებენ, რომ 15 ივნისიდან კლინიკაში თურქული დასუფთავების კომპანია შევიდა, რომელიც საკუთარ პირობებს სთავაზობს. სანიტრების თქმით, ახალი კომპანიის პირობების მიხედვით, შეუძლებელია მუშაობა, რადგან სთავაზობენ 12-საათიან სამუშაო რეჟიმს.

ისინი აცხადებენ, რომ დასუფთავება მოხდება სპეციალური ტექნიკით და შესაძლოა, 80 სანიტრიდან მხოლოდ 61 დატოვონ. მათი სამუშაოს პირობები და სხვა დეტალები სრულიად უცნობია. მათივე გაცხადებით, კლინიკის ხელმძღვანელობა მათ ამ თემაზე არ ესაუბარება.

სანიტრების თქმით, ისინი ამჟამად ხელზე იღებენ 230 ლარს, ახალი კომპანიის შემოსვლის შემთხვევაში, მათ ექნებათ 280 ლარი.

ინტერპრესი

◎ პრობლემა

კერძო მშენებლებს ჯარიმებს მოუხსნიან

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე აცხადებს, რომ სამშენებლო სექტორში არსებული კრიზისული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებები.

სექტორში ბევრია ისეთი სუბიექტი, რომელსაც დარიცხული აქვს ჯარიმა და ვერ ახერხებს აღებული ვალდებულების შესრულებას. უჭირთ დაწყებული მშენებლობის დასრულება. ზოგ შემთხვევაში არ ხდება დასრულებული ობიექტის დადასტურება და ექსპლოატაციაში მიღება, რაც წინაპირობაა შენობის რეგისტრაციაში (საჯარო რეესტრში) გატარებისა. ჯარიმების (საურავების) მოხსნის კანონპროექტზე მუშაობა უკვე დაწყებულია, აცხადებს ტყემალაძე. ის შეეხებათ როგორ სამშენებლო კერძო ორგანიზაციებს, ასევე იურიდიულ პირებსაც.

კანონპროექტის მიხედვით დამთავრებული და დასრულების ეტაპამდე მისული შენობა-ნაგებობების მშენებელი პირებისათვის დაწესდება სანქციებისაგან განთავისუფლების დროებითი, 6-თვიანი ვადა. ეს ძირითადად შეეხებათ მათ, ვისაც დასრულებული აქვთ სამუშაოები, აღრიცხულია დარღვევები, მაგრამ ექსპლუატაციაში არ არის შესული, ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევისათვის.

იმ დამრღვევის მიმართ, რომელსაც კანონის ძალაში შესვლამდე დაეკისრა პასუხისმგებლობა, და ამ მომენტისათვის ჯარიმა, საურავი არა აქვს გადახდილი, ან გადახდილი აქვს ჯარიმის (საურავის) რაღაც ნაწილი, ძალადაკარგულად ჩაითვლება ჯარიმის (საურავის) დაკისრების შესახებ – აკონკრეტებს პარლამენტი დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე.

მენაშენეთა ასოციაციის ხელმძღვანელი **ირაკლი როსტომაშვილი** ფიქრობს, რომ მხოლოდ ჯარიმის მოხსნით პრობლემა ვერ მოგვარდება. უნდა გაძლიერდეს კონტროლი. მას მიაჩნია, რომ მთავარია, ობიექტი ნორმით იყოს აშენებული და ამის შემდეგ გამოჩნდება რამდენად გაიყიდება ის. ცუდი ხარისხის შესახებ საჯაროდ უნდა ითქვას, ამ შემთხვევაში მშენებელი არ დაჯარიმდება. მყიდველმა უნდა იცოდეს ობიექტის რეალური მდგომარეობა, რადგან ბინა მარტო ფართი არ არის. საერთოდ, ჯარიმების შემოღების პრობლემის გადაჭრას როსტომაშვილი მისაღებად არ თვლის.

არადა წინა ხელისუფლებამ ისეთი დრაკონული კანონები შემოიღო, ვინმეს საკუთარ სახლში უნებართვოდ ფანჯარა რომ გამოეცვალა, 3 ათასი ლარით აჯარიმებდნენ.

როსტომაშვილის მოსაზრებას, რომ ჯარიმების მოხსნით პრობლემა ვერ მოგვარდება, ეთანხმება ექსპერტი მშენებლობის დარგში **მერაბ ჩხენკელი.** იგი ამბობს, რომ ამ სფეროში მდგომარეობას შეცვლის მხოლოდ კონტროლის გამკაცრება. ექსპერტი ამბობს, რომ წინა ხელისუფლების უდიდესი შეცდომა იყო, მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს გაუქმება, რის შედეგადაც მივიღეთ უკონტროლო მშენებლობები. ჩხენკელი წარმოუდგენლად თვლის სამშენებლო სექტორში შექმნილ მდგომარეობას. სისტემა თავიდან უნდა ჩამოყალიბდეს – მიაჩნიათ ექსპერტებს, ამის მაგალითად იმ გარემოებას ასახელებენ, როდესაც სამშენებლო სამინისტრო შეუერთეს ეკონომიკის სამინისტროს, „მეპურე ვერამ“ კი საერთოდ გააუქმა მშენებლობაზე სეისმური მდგრადობის კონტროლი და დღეს კაცმა არ იცის, რა მდგრადობისაა ახალი შენობები, – აცხადებენ ექსპერტები.

ზაზა ბილიხოძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ძვირფასო მკითხველებო!

2013 წლის 21 ივნისს 13 საათზე მეცნიერების ოთხი აკადემია – ბიზნესის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობისა და პოლიტიკის მეცნიერებათა აკადემიები მართავენ ერთობლივ სამეცნიერო-საზეიმო შეხვედრას საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის სააქტო დარბაზში (ქ. თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი №45, მე-6 სართული) თბილისში დაბადებულ, აღზრდილ საერთაშორისო მასშტაბის მწიგნობართან

რამაზ აკაკის ძე გახოკიძესთან,

რომელმაც შეძლო არა ერთისა, არამედ უთვალავ მამაკაცთა გასაკეთებლის გაკეთება – გასაკეთებელი მეცნიერ-ქიმიკოსისა, მეცნიერ-ისტორიკოსისა, მეცნიერ-ფილოლოგისა, მეცნიერ-აგრარიკოსისა, მეცნიერ-ფილოსოფოსისა, მეცნიერ-კულტუროლოგისა, მეცნიერ-აღმომჩენისა და მეცნიერ-გამომგონებლისა, ასზე მეტი სამეცნიერო და მუსიკალური ნაწარმოებისა.

საზეიმო ფორუმზე დასწრება თავისუფალია ზემოაღნიშნული აკადემიის წევრებისთვის, აგრეთვე, იმ სტუმრებისთვის, რომლებსაც ექნებათ პირადობის მოწმობა და საამისო სურვილი.

ფორუმის კოორდინატორი
ალექსანდრე კუჭუხიძე

◎ ჩვენი კარაბადინი

არითმია ციფრებსა და ფაქტებში

არითმია – ესაა გულის კუნთის შეკუმშვის სიხშირის დარღვევა.

არითმიით მამაკაცები ქალებთან შედარებით 1,7-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან.

არითმიის მიზეზებია – თანდაყოლილი ანომალიები, ფსიქიკური ნერვული დაავადებანი, მოწამვლები, ზოგიერთი წამლის ზემოქმედება, უჯრედებში კალციუმისა და კალიუმის უკმარისობა.

60-დან 90 დარტყმამდე წუთში – მშვიდ მდგომარეობაში გულის ნორმალური რიტმია.

160-240 დარტყმამდე წუთში შეიძლება მიაღწიოს გულის შეკუმშვამ პაროქსიზმალური ტაქიკარდიის შეტევის დროს, რომელიც მოულოდნელად იწყება და ასევე მოულოდნელად წყდება.

მოციმციმე არითმიის ყველა უსიპტომო შეტევების 30 პროცენტი 48 საათზე მეტხანს გრძელდება.

გულის ყველა დაავადებათა დაახლოებით 10-15 პროცენტი არითმიაზე მოდის.

„გულის ბოდვა“ – ზოგჯერ ასეც უწოდებენ მოციმციმე არითმიას.

50 წელზე მეტი ხნის ადამიანების 70-80 პროცენტს პერიოდულად უჩნდება გულის რიგგარეშე შეკუმშვა – ექსტრასისტოლია, არითმიის ყველაზე გავრცელებული სახეობა.

პლანეტის ყოველ მე-200 მცხოვრებს აწუხებს მოციმციმე არითმია.

არსებობს გულის არითმიის რამდენიმე ათეული სახეობა, მაგრამ ყველაზე ხშირია ექსტრასისტოლია, წინაგულების ციმციმი და ფანცქალი, პაროქსიმალური ტაქიკარდიები და გულის ბლოკადები.

მწეველებს არამწეველებთან შედარებით 2-6-ჯერ უფრო ხშირად უვითარდებათ გულის დაავადებანი.

პროფილაქტიკის სახით რეკომენდებულია მასტიმულირებელი საშუალებების (კოფეინის) მიღების შეზღუდვა, მოწევისა და ალკოჰოლის გამორიცხვა, დიეტა, რომელიც მდიდარია გულის რიტმის მოსაწესრიგებელი მიკროელემენტებით: კალციუმით, მაგნიუმითა და კალიუმით.

გამოკითხვა

თუ მიგაქვთ მოგზაურობაში აფთიაქი პირველი აუცილებლობის წამლებით?

59 პროცენტი – ყოველთვის მიმაქვს

16 პროცენტი – როდესაც მივდივარ ბავშვებთან ერთად ან ცივილიზაციისგან დაშორებულ ადგილებში

16 პროცენტი – აზრადაც არასოდეს მომსვლია

9 პროცენტი – არა, არ მიმაქვს, თუ ავად გავხდებით – ადგილზე ყველაფერს გავარკვევთ

სულ გამოკითხვაში მონაწილეობა 801 კაცმა მიიღო.

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაშინგტონ-ვარსკვლავებთან

ციხეებში ბუნტი მზადდება!!!

გაზეთის სანდო წყაროს მტკიცებით, ეს არის ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების ერთი ნაწილი. თუ დავუკვირდებით, მიმდინარეობს შეტევა პარლამენტიდან, ამერიკის კონგრესიდან, ციხეებიდან და ასე შემდეგ. წყაროს თქმით, სოზარ სუბარი იხვეწება, თანამდებობიდან გამათავისუფლეთო, მაგრამ ჯერჯერობით, ივანიშვილი მის თხოვნას არ აკმაყოფილებს. სუბარს უნდა მალე გაეცალოს ციხეებს და მოსალოდნელ ბუნტს.

„ქრონიკა“

„მალე რუსები მთავრობაში შემოგვიგდებენ ებრალიძეს და მისნაირებს და მერე ნახეთ“

– აცხადებს „ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი, – ივანიშვილი რუსეთსაც და აშშ-საც დაპირდა საქართველოში მათი ინტერესების სრულ დაკმაყოფილებას, ისევე, როგორც თავის დროზე სააკაშვილი, რომელიც მერე ამერიკას ჩაეხუტა და რუსეთი გადააგდო. ახლა ივანიშვილმა გადააგდო აშშ და ჩაეხუტა რუსეთს, არადა, საერთოდ, კატისებრთა ოჯახის წევრები, ყველაზე მშვიდად მაშინ არიან, როცა ნახტომისთვის ემზადებიან. ახლა მალე რუსები მთავრობაში შემოგვიგდებენ ებრალიძეს და მისნაირებს და მერე ნახეთ რა იქნება.

„რეზონანსი“

მალე შაქარი 2 ლარამდე გაძვირდება?!

2012 **წლის** პირველი ოქტომბრის არჩევნების დასრულებისთანავე, შაქარი გაიაფდა, 1 კილოგრამის ფასი 50 თეთრით შემცირდა და ქვეყნის შიდა ბაზარზე 1,20 თეთრი გახდა. საერთოდ, საქართველოში შაქარს პოლიტიკური ფასი აქვს – ახალმა ხელისუფლებამ ბაზარი იმპორტიორებს გაუხსნა, ერთადერთი ადგილობრივი მწარმოებელი აგარის შაქრის ქარხანა კი აშკარად დისკრიმინაციულ პირობებში ჩააყენა. ახლა ზაფხულია, შესაბამისად, შაქრის მოხმარება გაიზარება, რადგან მოსახლეობა სხვადასხვა ხილის წვენებსა და მურაბებს დაამზადებს. მომხმარებლის ზრდა კი ავტომატურად გამოიწვევს ამ პროდუქციის გაძვირებას. არ არის გამორიცხული სეზონზე 2 ლარი გახდეს.

„ვერსია“

ირაკლი წერეთელი 18 ივნისიდან შიმშილობის დაწყებას გეგმავს

ამის **შესახებ**, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა განცხადება რამდენიმე დღის წინ გამოაქვეყნა. „რატომ მინდა დავიწყო შიმშილობა? ძალიან არ მომწონს საქართველოში დღეს არსებული საერთო მდგომარეობა. ცხადად ვხედავ, ერის მიერ ბრძოლებითა და სისხლით მოპოვებული და დაბრუნებული ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკნინებას, საქართველოს რუსეთის იმპერიის გავლენის სფეროში და სტრატეგიულ სივრცეში დაბრუნებას, ამერიკასთან და დასავლეთთან დაცილების რეალურ საშიშროებას“.

„ახალი თაობა“

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ვისია ეს მანეთიანი? – ეკითხება ერთი ებრაელი მეორეს.

– ჩემია.

– საოცარია, როგორ ჰგავს ჩემსას.

* * *

– თუ ხელფასს ასი დოლარით არ გამიზრდით, ყველას ვეტყვი, რომ სარგო ორასი დოლარით გამიზარდეთ, – ეუბნება მუშაკი შეფს.

* * *

ყველა **გამოგონების მთავარი მიზანია ადამიანისთვის დროის დაზოგვა.**

გამონაკლისია ტელევიზორის გამოგონება.

როდესაც ვჭამ, ყრუ და მუნჯი ვარ.

აი, სმისას კი ბევრად კომუნიკაბელური გახლავართ.

* * *

– ან სმა უნდა მიატოვოთ, ან მხედველობას დაკარგავთ.

– ეჰ, ჯანდაბას, როგორც ჩანს, ხელის თვალებით მომიწევს ჩამოსხმა.

* * *

– ძვირფასო, გინდა ყავა საწოლში?

– არა, უმჯობესია ფინჯანში.

* * *

მე მომწონს ჩემი თავისუფალგრაფიკიანი სამსახური. მომინდება, დილის შვიდ საათზე მივალ სამსახურში, მომინდება, ღამის თორმეტ საათზე წავალ იქიდან. ხოლო, თუ მომინდა, საერთოდ არ წავალ სახლში...

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com